საქართველო მდიდარია ტბებით. საქართველოში 856 ტბაა, მათ უკავიათ ქვეყნის საერთო ფართობის 0,24%. ტბათა უმრავლესობა პატარაა და მათი საერთო ფართობი 170 კვადრატულ კილომეტრს არ აღემატება, თუმცა ეს ტბები გამოირჩევიან მრავალფეროვანი გენეზისით. აქ არის ტექტონური, მყინვარული, მდინარეული, სანაპირო, კარსტული, სუფოიზიური, შეგუბებული, მეწყრული და ანთროპოგენური ტბები. განსაკუთრებული სილამაზით ხასიათდება აფხაზეთის ტბები – დიდი და პატარა რიწა, ტბების სიუხვე სამხრეთ საქართველოშია – ფარავანი, საღამო, ტაბაწყური ხანცალი, ხოზაფინი და სხვა. ტბების უმეტესობა ეკოლო-

გიურად სუფთა გარემოშია განლაგებული. ზოგიერთი ტბის სარკე საკმაო ფართობისაა.

საქართველოში ცნობილია 734 მყინვარი, რომელიც განლაგებულია კავკასიონის ქედზე, მდ. ბზიფისა და არაგვის სათავეებს შორის, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში კავკასიონის ჩრდილო ფერდზე, მათი ფართი 51112 $კმ^2$-ია. ზაფხულის პერიოდში წლიური ჩამონადენის 88,91% საქართველოს სამხრეთ ფერდობის მდინარეებში ჩაედინება, 1,48% – აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ფერდობის მდინარეებში, ხოლო 9,615 – რუსეთის მდინარეებში. მყინვარები მნიშვნელოვან წყალმარეგულირებელ როლს ასრულებენ. მყინვარები წარმოადგენენ წყლის თავისებურ აკუმულიაციასა და დნობის პერიოდში ხელს უწყობენ მდინარეების ჩამონადენის რეგულირებას.

საქართველოში სხვადასხვა მიზნისათვის გაშენებულია 44 წყალსაცავი, რომელთა საერთო ფართობია 163 $კმ^2$. ყველაზე მნიშვნელოვანია წალკის (33,7 $კმ^2$), თბილისის (12,5 $კმ^2$), ტყიბულის (10 $კმ^2$). შორის (13 $კმ^2$), სიონის (11,5 $კმ^2$) წყალსაცავები.

საქართველოს ძირითადი ტბები და წყალსაცავები

| წყალსატევის ან ტბის დასახელება | წყალსატევის დარკის ფართობი, კვ, კმ | მოცულობა მლნ, კუბ.მ | | სიღრმე, მეტრი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საშუალო | მაქსიმალური | საშუალო | მაქსიმალური |
| ბაზალეთის ტბა | 1.22 | 5.55 | - | 4.5 | 7.0 |
| გალის წყალსაცავი | 8.03 | 145 | 26.0 | 17 | 52.0 |
| ენგურის წყალსაცავი | 13.5 | 1092 | 662 | 115 | 230 |
| ლისის ტბა | 0.47 | 1.22 | - | 2.6 | 4.0 |
| პალიასტომის ტბა | 18.2 | 52.0 | - | 2.1 | 3.2 |
| ჟინვალის წყალსაცავი | 11.5 | 520 | 370 | 50 | 98 |
| რიწის ტბა | 1.49 | 94.0 | - | 63.1 | 101 |
| სამგორის წყალსაცავი | 11.8 | 308 | 155 | 26.2 | 45.0 |
| საღამოს ტბა | 4.81 | 7.71 | - | 1.6 | 2.3 |
| სიონის წყალსაცავი | 12.0 | 325 | 300 | 25.4 | 67.5 |
| ტაბაწყურის ტბა | 14.2 | 221 | - | 15.6 | 40.0 |
| ტყიბულის | 11.5 | 84.0 | 62.0 | 16.0 | 32.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წყალსაცავი | | | | | |
| ფარავნის ტბა | 37.5 | 90.8 | - | 2.4 | 3.3 |
| შაორის წყალსაცავი | 13.2 | 90.0 | 87.0 | 6.8 | 11.5 |
| წალკის წყალსაცავი | 33.7 | 312 | 292 | 9.3 | 25.0 |
| ხოზაფინის ტბა | 26.3 | 19.3 | - | 0.73 | 1.0 |
| ჯანდარის ტბა | 12.5 | 52.0 | 23.0 | 4.6 | 7.2 |

წყალსაცავები გამოიყენება მელიორაციისათვის ან ენერგეტიკაში, ზოგიერთ მათგანს კომპლექსური გამოყენება აქვთ. მაგალითად, ჟინვალის წყალსაცავს.

## 3.8. საქართველოს ტყის ფონდი რეგიონების მიხედვით (ათასი ჰექტარი)

დიაგრამა




საქართველოში ბოლო წლებში შექმნილმა რთულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ გარემოს მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება განაპირობა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დაცვას. 2009 წლის მონაცემების მიხედვით დანახარჯები ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების შენახვაზე არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს რეალურ მოთხოვნებს. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს,

უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მცირდება ტყის აღდგენა სახელმწიფო დანიშნულების ტყეებში.

„ნაკრძალი, მიწის ისეთი ნაკვეთია, რომელის გამოყოფილია საერთო სახმარი ფართობიდან და გამოცხადებულია ხელშეუხებელ ტერიტორიად. ნაკრძალში დასაცავია ყოველი ცოცოხალი (მცენარე, მდელო, ცხოველი), ღირსშესანიშნავი მკვდარი ბუნება (გამოქვაბული, კრისტალური მღვიმე, სტალაქტიტები, წყარო, კლდე და სხვა). ნაკრძალში აკრძალულია ხის მოწრა, ბალახის თიბვა, საქონლის ძოვება, ნაყოფის შეგროვება და კრება, სოკოს გროვება, „ნადირობა" — ასე განმარტავდა ნიკო კეცხოველი ნაკრძალის რაობას და აქვე დასძენდა „...მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი ნაკრძალის არ ჩაერევა — ადამიანი ვალდებულია ოვალყური ადევნოს ნაკრძალს და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს კიდეც მის ცხოვრებაში (მავნებელია შესევა, მტაცებელი ცხოველების მეტისმეტი გამრავლება ან მეტისმეტი შემცირება. ცნობილია, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ნაკრძალში მგლის ამოწყვეტის შედეგად ირემტა არვე დაჩიავდა. საჭირო გახდა მგლის უკან დაბრუნება".

ბუნებრივი ეროვნული პარკი ტერიტორიის ის ნაწილია, რომელიც წარმოქიმნება ბუნებრივი კომპლექსების შესანარჩუნებლად. მას აქვს განსაკუთრებული ეკოლოგიური, ისტორიული და ესტეტიკური ღირებულება ლანდშაფტის, ბუნებრივი და კულტურული შეთანაწყობისათვის და გამოიყენება რეკრეაციული, საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მიზნებისათვის.

საქართველოში ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებს 239 ათასი ჰექტარი უკავია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 3,4%-ს და ტყით დაფარული ფართობის 8,6%-ს შეადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალები და ეროვნული პარკები 2009 წელს

| ნაკრძალის და ეროვნული ოარკის დასახელება | ადგილმდებარეობა | დაარსების წელი | ფართობი, სულ, ჰექტარი |
|---|---|---|---|
| საქართველო სულ | | | 238,1 |
| მათ შორის ნაკრძალების მიხედვით | | | 151,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ალგეტის | თეთრიწყარო, მანგლისი | 1965 | 6,8 |
| ახმეტის | ახმეტა | 1935 | 6,8 |
| აჯამეთის | ბაღდადი, ვარციხე | 1957 | 4,8 |
| ბიჭვინტა-მიუსერის | გაგრა | 1966 | 3,6 |
| ვაშლოვანის | დედოფლისწყარო | 1935 | 8,0 |
| კინტრიშის | ქობულეთი | 1959 | 13,9 |
| კოლხეთის | წყალტუბო | 1935 | 0,5 |
| ლაგოდეხის | ლაგოდეხი | 1912 | 18,0 |
| ლიახვის | გორი | 1977 | 6,4 |
| მარიამჯვარის | საგარეჯო, ნინოწმინდა | 1939 | 1,0 |
| რიწის | გუდაუთა | 1957 | 16,3 |
| საგურამოს | მცხეთა, საგურამო | 1946 | 5,3 |
| სატაფლიას | წყალტუბო | 1959 | 0,3 |
| ფსოუ-გუმისთის | სოხუმი | 1976 | 40,9 |
| ყაზბეგის | ყაზბეგი | 1976 | 8,7 |
| ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი | ბორჯომი | 1999 | ნაწილი გადაიწვა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს |
| თბილისი ეროვნული პარკი | თბილისი | - | - |

საქართველოს ნაკრძალებში აღრიცხულია ასეულობით სახეობის ყვავილოვანი მცენარე, რომელთა შორის არის ენდემურიც, ათეულობით სახეობის ცხოველი (არჩვი, აფთარი, კავკასიური დათვი, კავკასიური ირემი, გარეული კატა, კვერნა, კურდღელი, მაჩვი, მგელი, მელა, ნუტრია, ნიამორი, ტურა, ციყვი, ფოცხვერი, გარეული ღორი, შველი, წავი, კავკასიური ჯიხვი), ფრინველი (მთის არწივი, გველიჭამია არწივი, მეგობის არწივი, ველის არწივი, ბუ, ბულბული, გვრიტი, იხვი, კაკაბი, კოდალა, მიმინო, მტრედი, ტეთრთავა ორბი, ოფოფი, როჭო, სვავი, ტყის ქათამი, ქედანი, ქორი, შავი შაშვი, მგალობელი შაშვი, შავარდენი, შურთხი, ყვავი, ჩხართვი, ჩხიკვი, ხოხობი, ძერა), თევზი, შემონახულია წაბლისა და ძელქვის, უთხოვარისა და მუხის, ბიჭვინთის ფიჭვისა და წიფელის უნიკალური კორომები.

# თავი 4. კურორტები და საკურორტო ადგილები

## 4.1. კურორტების რეკრეაციული თავისებურებები

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებით, უამრავმა წერილობითმა ძეგლმა შემოგვინახა ალტაცებული შეფასებები მრავალგვარი დაავადების განკურნების სასწაულმოქმედი უნარის მქონე თბილი წყაროების შესახებ.

კურორტების შექმნა, საქართველოში იწყება XIX-ს I ნახევარიდან, თუმცა ქართველი ხალხი ძველთაგანვე იყენებდა მინერალურ წყლებს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და მთის ჰავას - ადამიანთა გაჯანსაღების მიზნით. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში. საქართველოს მთიანი ზონა გამოირჩევა ულამაზესი ლანდშაპტებით, ჯანმრთელი ჰავითა და მრავალრიცხოვანი წყაროებით. მთის ჰავის დადებითი სასარგებლო სამკურნალო თვისებები - სუფთა ჰაერი, მზის (მათ შორის ულტრაიისფერი) რადიაციის ინტენსივობა, რის გამოც იგი უფრო აქტიური ხდება, ზაფხულში ზომიერი ტემპერატურა (დაბლობ ზონასთან შედარებით) - ასევე ხელს უწყობს დასვენებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლიმატური პირობები დაბალმთიან (500-1000 მ. ზღვის დონიდან) და საშუალმთიან (1000-2000 მ. ზღვის დონიდან) ზონებში, სადაც თავმოყრილია სამთო-კლიმატური და ბალნეოკლიმატური კურორტები. ზღვის დონიდან 700 მ სიმაღლეზე უმთავრესად სჭარბობს ბალნეოლოგიური კურორტები (ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, ტყვარჩელი). ზღვის დონიდან

700-1000 მ სიმაღლ ეზე - ბა ლნეოკლიმატური კურორტები (ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი), ხოლო 1000-1500 მ სიმაღლეზე - სამთოკლიმატური კურორტები (აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ჯავა, კოჯორი, კიკეთი. მანგლისი). საკურორტო მიზნით ზონა ზღვის დონიდან 1500-2000-მ სიმაღლეზე გამოიყენება ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყენებენ (შოვი, ბახმარო). აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი კურორტია ბაკურიანი. მთის ზონაში განლაგებულ კურორტებზე წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულიოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზოგიერთ ფორმას, ნევროზებს, და ა.შ. შესანიშნავი კლიმატური პირობებისს მქონე შავისზღვისპირეთი წარმოადგენს კურორტების განვითარების უმნიშვნელოვანეს ზონას. ამ ზონაში განლაგებულია ძირითადად, კლიმატური კურორტები - გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ურეკი და სხვ. კლიმატი აქ ნოტიო კუბტროპიკულია რბილი ზამთრითა და ხანგძლივი ცხელი ზაფხულით. კლიმატური თერაპია მაღალეფექტურია მთელი წლის მანძილზე. ზღვის ჰავა წარმატებით გამოიყენება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ორგანოების დაავადებათა, ნერვიული სისტემის ფუნქციური დარღვევების სამკურნალოდ. კურორტული დასვენების და მკურნალობის კომპლექტში დიდ მნიშვნელობას იძენს მინერალური წყლების გამოყენება. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა ტიპის მინერალური წყალი დ ა არის 2000-ზე მეტი მინერალური წყარო. მინერალური წყლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა გულ-სისხლძარღვთა, ნერვუ-

ლი, საჭმლის მომნელებელი სისტემების, გინეკოლოგიური, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებათა მკურნალობას, პროფილაქტიკას და რეაბილიტაციას საქართველოს კურორტებზე. მინერალური წყლების ყველაზე გავრცელებული ტიპის - ნახშ ირორჟანგიანი - ბაზაზე მოქმედებს ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტები - ბორჯომი, შოვი, უწერა, ნაბეღლავი, საირმე და სხვ. მაღალი თერაპიული თვისებები ახასიათებს თერმულ სულფიდურ, რადონურ, აზოტოვან, სალიციუმიან მინერალურ წყლებს, რომლებიც გამოიყენება სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ეს წყლები გამოიყენება წყალტუბოს, თბილისის, ნუნისის, ტყვარჩელის, გაგრის, სოხუმის, მახინჯაურის, ზეკარის, ასპინძის კურორტებზე.

ბუნებრივი ფაქტორების სიმდიდრის და მრავალფეროვნების გამო საქართველოში 340 საკურორტო ადგილია გამოყოფილი, რომელიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. საკურორტო ადგილებისათვის დამახასიათებელია სასურველი ჰავა, მინერალური წყლების ან სამკუნალო ტალახების არსებობა. ზოგი კურორტი კეთილმოწყობილია: აშენებულია კოტეჯები, პატარა სააბაზანო შენობები, მოწყობილია მინერალური წყაროების ბუნებრივი სადენები. საკურორტო ადგილის ათვისება წარმოადგენს დიდ რეზერვს სხვადასხვა სამედიცინო პროფილის საკურორტო საწსებულებების ფართო ქსელის მშენებლობისათვის, ახალი კურორტების შექმნისათვის.

## 4.2. საკურორტო ზონები

საქართველო თავისი ტერიტორიულ – რეკრეაციულ რესურსებით უნიკალური ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე ბუნებრივი, ეკონომიკური და ისტორიული ფაქტორების შესანიშნავი შეხამებაა, რაც საშუალებას იძლევა საქართველოს ტერიტორია გადავაქციოთ საერთაშორისო ტურისტულ – საკურორტო რეკრეაციულ ზონად. ძალიან მრავალფეროვანია ჰიდრო რესურსები, ქვეყანას დასავლეთიდან 300 კმ ის მანძილზე აკრავს შავი ზღვა რომელიც უხვი ნალექების წყაროა დიდი პრესპექტივა აქვს სპელეო ტურიზმის განვითარებას. უკვე ათვისებულია რამდენიმე მღვიმე. ჩვენ ტერიტორიაზე მრავლადაა ბუნების ცალკეული ძეგლები. ამჟამად 2000 – მდე მინერალური წყაროა ცნობილი ჩვენი წყლები უმთავრესად ნახშირმჟავა გოგირდწყალბადიანი წყლებია. ჩვენი კურორტები საზღვაო კლიმატური, სამთო კლიმატური, კლიმატო ბალნეოლოგიური ხასიათისაა. გვაქვს ტალახის კურორტებიც, ტურიზმის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ისტორიულ კულტურულ ფაქტორები, ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ისტორია თავის გამოსახულებას პოულობს მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლებში,ისინი დიდ ინტერესს იწვევს ტურიზმის თვალსაზრისით ტურიზმის განვითარებისთვის დიდ პრესპექტივას წარმოადგენს საქართველოს მთის რეგიონი, ისტორიულ ეთნოგრაფიული კუთხეები თავის ადათ-წესებით, მნიშვნელოვან საექსკურსიო ობიექტებს წარმოადგენენ მუზეუმები, საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების სილამაზის და უმდიდრესი ისტორიას ალამაზებს

მისი სოფლის მეურნეობის ეს მრავალმხრივი გამა. ალამაზებს და ამდიდრებს ტურისტულ რეკრიაციას. ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა და მომავალშიც უნდა შეასრულოს ჩვენმა უმთავრესმა ქალაქებმა.ჩვენი ქალაქების უმრავლესობა ისტორიულია ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი ასევე საინტერესო საექსკურსიო ობიექტია ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის. ჩვენი ქვეყნის ერთ – ერთი საფუძვლიანი დავალებაა კარგი წარმოდგენა შევუქმნათ ტურისტებსა და ექსკურსანტებს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

## ს უ რ ა მ ი

ჰავის განსაკუთრებული თვისებების გამო, სურამი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურორტია საქართველოს მასშტაბით 1926 წლიდან. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი. იანვრის საშუალო ტემპერატურა - 2 , ივლისის + 20 გრადუსია, სურამი გარშემორტყმულია ტყით, რაც სუფთა ჰაერის საწინდარია განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰავას ბავშვებისათვის აქვს, რომელთაც სასუნთქი გზების დაავადება აწუხებთ, აგრეთვე რეკომენდირებულია ტუბერკულიოზის სამკურნალოდ და ორგანიზმის იმუნიტეტის უნარის ასამაღლებლად. სურამში ამჟამად ფუნქციონირებს დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი "საპოვნელა" და "ნაკადული".

სურამის ბუნებრივ რესურს წარმოადგენს მის ტერიტორიაზე არსებული განსაკუთრებული შემადგენლობის წყლები, რომელთაც სამკურნალო თვისებები გააჩნიათ, მაგ: "რკინის წყალი", რომელსაც სახელი რკინის ჟანგის

შემცველობის გამო დაერქვა და შემჩნეულია ერთი საუკუნის წინათ. ეს წყალი სურამის ცენტრთან ახლოსაა და კეთილმოწყობილია. იგი გამოიყენება ანემიის ანუ სისხლნაკლებობის დროს, ასევე რეკომენდებულია თვალის დაავადებების, ნერვული სისტემის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს მედიკამენტებთან ერთად. მნიშვნელოვანი და ადრიდანვე ცნობილია ჩუმათელეთის გოგირდოვანი წყალი, რომელიც გამოიყენება სახსრების დაავადების იქ სადაც წყალი ამოდის 1950 წლიდან ფუნქციონირებდა აბანო, დამსვენებელთა 90% რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ადამიანები იყვნენ. ამჟამად აბანო აღარ ფუნქციონირებს. წყალი იღვრება, თუმცა მისი გამოყენება ახლაც შეიძლება.

დაბის ერთ-ერთ უბანში კაკალათხევში, 1991 წელს კერძო მოსახლის (ავთო ლაბაძე) ეზოში, ჭის ამოღების შემდეგ ამოვიდა განსაკუთრებულად მაღალი მინერალი-ზაციის წყალი, რომელსაც ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა და სამკურნალო დანიშნულებაც აღმოაჩნდა, სასმელად ეს წყალი არ გამოიყენება. ასეთი შემადგენლობის წყალი საქართველოში არ არის, მისი უნიკალურობა დაამტკიცა გეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიამ.

## ბ ო რ ჯ ო მ ი

კურორტი ბორჯომი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის ხეობაში, ზღვის დონიდან 810-850მ სიმაღლეზე; იგი დაბალმთიან კურორტთა ჯგუფს მიეკუთვნება. ხეობას თითქმის ყოველი

მხრიდან ესაზღვრება წიწვოვანი და შერეულფოთლოვანი ტყეებით დაფარული მთები. კურორტის მოსაზღვრე ზოგიერთი მთის სიმაღლე 3000 მ-ს აღწევს.ხეობა დაცულია ძლიერი ატმოსფერული დინებათა შემოჭრისა და ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობისაგან. ამასთანავე, აქ საუკეთესო პირობებია ჰაერის ბუნებრივი ვენტილაციისათვის. ბორჯომში უმეტესად მშრალი, უღრუბლო და უნალექო ამინდია. მას ახასიათებს დაბალმთიანი ზონის თბილი, ზომიერად ტენიანი კლიმატი. ბორჯომი ცნობილია მისი სამკურნალო მინერალური წყლით, რომელსაც დადებითი ეფექტი აქვს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებისათვის. არქეოლოგური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ქვის აბაზანები, რაც იმის დასტურია, რომ მინერალური წყლების გამოყენების ისტორია სათავეს იღებს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან. ისტორიულად ბორჯომის ხეობას ეწოდებოდა თორი. იგი საკმაოდ მდიდარია ღირშესანიშნავი ადგილებით, ისტორიული ძეგლებითა და სანახაობებით. სამი ძმის პეტრე, გოგიას და სალის ციხეები, მე-6-ე, მე-12-ე საუკუნეში აგებული ეკლესიები და მონასტრები. რომანოვების სასახლე, რომელიც მე-18-ე საუკუნის დასასრულშია აგებული, ბორჯომს დიდგვაროვნულ ელფერს აძლევს.

ბორჯომის უნიკალური ბუნების შენარჩუნების მიზნით შექმნილია ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ.

ამ შესანიშნავი კურორტის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე მდებარეობს სასტუმრო კომპლექსი ,,ბორჯომის ხეობა“

## დიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია

კონსულტაციებიკონსულტაციის დასახელება:
თერაპევტის კონსულტაცია
ტესტირება ფოლის მეთოდით
ულტრასონოგრაფიული კვლევაკვლევის დასახელება:
ფარისებრი ჯირკვალი, სარძევე ჯირკვალი, მუცლის ღრუ (ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ელენთა, პანკრეასი), საშარდე სისტემა (თირკმელები, შარდის ბუშტი), წინამდებარე ჯირკვალი, სამეანეო კვლევა, გინეკოლოგიური (საშვილოსნო, საკვერცხეები) კვლევა, ორსულობის დადგენა, ნეიროსონოგრაფია, ექოკარდიოგრაფია.
ფუნქციური დიაგნოსტიკადიაგნოსტიკის დასახელება:
ელექტროკარდიოგრაფია
სამკურნალო პროცედურებიპროცედურის დასახელება:
კუჭის ამორეცხვა ,დუოდენალური (თორმეტგოჯა ნაწლავის ამორეცხვა), კოლონოჰიდროთერაპია მინერალური წყლით (ნაწლავის გამორეცხვა), კოლონოჰიდროთერაპია მინერალური წყლით და ზეთოვანი მიკრო ოყნით.
ფიზიოთერაპიაპროცედურის დასახელებაფასი
ელექტროფორეზი, გალვანიზაცია, უ.მ.ს_თერაპია, ამპლიპულსი, დარსონვალი, ულტრაბგერა, ფონოფორეზი, ინჰალაცია, ტალახის აპლიკაცია.
აბაზანებიპროცედურის დასახელება:
გოგირდოვანი და მინერალური წყლის აბაზანა წყალქვეშა მასაჟით, მარგალიტოვანი აბაზანა, წყალქვეშა მასაჟი მინერალური წყლით, ავტომატური წყალქვეშა მასაჟი მინერალური წყლით,
გოგირდოვანი წყლის აბაზანები.

მასაჟიპროცედურის დასახელება:
ზოგადი მასაჟი, თავის მასაჟი, კისრის მასაჟი, სახის მასაჟი, ზედა კიდურის მასაჟი, ქვედა კიდურის მასაჟი, ზურგის მასაჟი , წელის მასაჟი,
სამკურნალო ფიზკულტურაპროცედურის დასახელება:
ინდივიდუალური ვარჯიში, ვარჯიში ზედა კიდურებზე დატვირთვით, ვარჯიში ქვედა კიდურებზე დატვირთვით, ლაბორატორიული გამოკვლევები, კლინიკურ დიაგნოსტიკური გამოკვლევებიკვლევის დასახელება, სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გინეკოლოგიური ნაცხის გამოკვლევა, განავლის საერთო ანალიზი, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, განავლის ანალიზი ჭიის კვერცხებზე.
ბიოქიმიური გამოკვლევები კვლევის დასახელება:
AST / GOT, ALT / GPT, საერთო ცილა TP, ცილის ფრაქციები Protein Fraction, ბილირებინი და მისი ფრაქციები BILIREBIN T/D, გლუკოზა, საერთო ქოლესტერინი, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდ-ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდი, რევმატიული ფაქტორი, ანტისტრეპტოლიზინი O,ASLO, C რეაქტიული ცილა, კრეატინინი (სისხლიში, შარდში), შარდოვანა, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (არასრული) , ღვიძლის ფუნქციური სინჯები (სრული), ლიპიდური ცვლა, თირკმლის ფუნქციური სინჯები, კოაგულოგრამა, პროთრომბინი, ამილაზა (დისტაზა) სისხლში, კალციუმი Ca.

## უ რ ე კ ი

კურორტ ურეკის უნიკალურობა განაპირობა მაგნიტური თვისებების მქონე ქვიშის პლაჟმა ანალოგიური

მახასიათებლების ქვიშა , მხოლოდ ორ ა დგილზე გვხ ვდება მსოფლიოში.შავი ზღვისპირა მაგნიტური ქვიშები ცნობილა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან. პირველი, ვინც თავის თავზე გამოსცადეს ურეკის ქვიშის სასწაულმოქმედი თვისებები იქვნენ ახლომდებარე სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც უშუალო შეხება ქონდათ მაგნიტურ ქვიშასთან, ისინი განიკურნენ მრავალი ქრონიკული დაავადებებისაგან. მას შემდეგ მაგნიტური ქვიშის თვისებებით დაინტერესდა ფართო საზოგადოება, მედიცინის მუშაკები და კვლევითი ინსტიტუტები.ხელოვნურად შექმნილ მაგნიტურ ველებს, როგორც ფიზიოთერაპიულ სამკურნალო საშუალებას, ფართოდ იყენებენ მრავალი ქვეყნის სამკურნალო ცენტრებში მაგნიტოთერაპიის სახელწოდებით. კურორტ ურეკის უნიკალურობას კი განაპირობებს მაგნიტური ქვიშის სანაპირო ზოლზე შექმნილი ბუნებრივი, მცირე ინტენსივობის მქონე მაგნიტური ველი.ბუნების სიმდიდრე - სუბტროპიკული კლიმატი, ზღვა, მზე და მაგნიტური ქვიშა - შესანიშნავ პირობებს ქმნის დასვენებისა და მკურნალობისათვის. ურეკის დადებითი სამკურნალო ფაქტორები შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ, როგორც მოზრდილთა, ასევე ბავშვთა კონტინგენტისათვის:გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ჰიპერტონული დაავადება I - II სტადია, გულის ქრონიკული იშემიური დაავადებები, პოსტინფა-რქტული კარდიოსკლეროზი, მიოკარდიოდისტროფია, ქვემო კიდურთა მაობლიტირებელი დაავადებები).საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები (რევმატიული და ინფექციური პოლიართრიტი ქრონიკულ სტადიაში, მალეფორმირებული ოსტრეოართროზი, ოსტრეოქონდრო-პათიები და სხვა).

ნერვული სისტემის დაავადებები (დეპრესია, ჰიპერტონული ფორმის ნევ როზი, კლიმაქტერიული ნევროზი, ნევრალგია, ცერებრალური ინსულტის ნარჩენი მოვლებები).ბავშვთა კონტინგენტის დაავადებები (სპინალური რბილი დამბლები, სამეაონი დამბლ ები, პოლიომელიტის ნარჩ ენი მოვლენ ები, პერთესის დაავადება, რაქიტი).

ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის გამომწვევი ქრონიკული უროგენიტალური დაავადებები.

"კოლხიდა"-ში მკურნალობა ყველა ავადმყოფს ინდივიდუალურად უტარდება გამოცდილი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. ერთი კურსის ოპტიმალური ვადაა 24 დღე. სამკურნალო ფაქტორების გამოყენებას, განსაკუთრებით დადებითი შედეგები აქვს ბავშვთა დაავადებების მკურნალობის დროს. დადებითი ძვრები განპირობებულია არამარტო ქვიშის ზემოქმედებით, არამედ ურეკის ყველა კურორტული ფაქტორის ზემოქმედებით, მათ შორის "თალასოთერაპიის" გავლენითაც. ამასთანავე, ბუნებრივია არ შეიძლება გამოირიცხოს ემოციური და ფსიქოთერაპიული ფაქტორი - გარემოს შეცვლა, დასვენება, ლანდშაფტის სილამაზე და სხვა.

### ა ხ ტ ა ლ ა

ახტალა, ტალახით მნიშვნელობის სამკურნალო კურორტი ქ, გურჯაანში, თბილისიდან 122 კმ-ზე, ზღვის დონიდან 412 მ. ჰავა ზომიერი კონტინენტური: ზაფხული ცხელი, ზამთარი თბილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 700 მმ. კურორტის სამკურნალო ფაქტორის ფსევდოვულკანური ტა ლახი, რომელსაც იყე ნებენ აბაზა ნე-

ზისათვის, აპლიკაციებისა და ტამპონებისათვის. მას მოიხსენიებენ ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.), ისტორიკოსი პ. იოსელიანი და ექიმი ა. მესხიშვილი (XIX ს.). ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებების საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (დაარსდა 1928 წ.) დ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.ახტალაში არის მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმი, პოლიკლინიკა, სააბაზანო (ტალახსამკურნალო) ჩვენებები: მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გნეკოლოგიური დაავადებანი. სეზონია აპრილ-დეკემბერში.

## ბ ა ხ მ ა რ ო

ბახმარო, რესპუბლიკური მნიშვნელობის მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ჩოხატაურის რაიონში, მესხეთის ქედზე, მდინარე ბახვი სწყლის ხე ობაში, ტყის ზო ნის ზ ემო ნაწილში. ზღვის დონიდან 1926-2000 მ, შავი ზღვის სანაპიროდან პირდაპირი ხაზით 50 კმ. უახლოეს ტკინიგზის სადგურ სამტრედიიდან 80 კმ. კლიმატური თავისებურებები: ზღვის და მთის ჰაერის მასების შერწყმა, მზის რადიაციის, განსაკუთრებით ულტრაიისფერი გამოსხივების, მაღალი ინტენსივობა. სუსტი, უმეტესად ზღვიური ქარები. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა - 5,2°C), ზაფხ ული ზომიერად გრილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 13,4°C). ნალ ექების საშუალო წლიური რაოდენობა 1869 მმ, მზის ნათების ხანგრძლივობა 1975 სთ. წელიწადში, შეფარდებითი სინოტივე 73 %. სამედიცინო ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა

არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლჩაქცევები, ნევრასთენია, ლიმადენტი. სეზონია - ივნისი-სექტემბერი.

## ბ ა თ უ მ ი

ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ღრმა ყურის სამხრეთ ნაპირზე. ბათუმის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და გაშენებულილა კახაბრის ვაკის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით - მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივ. ის მნიშვნელოვანი სამრეწველო და საკურორტო ქალაქია, მსხვილი პორტით. აშენდა თამარის ციხე-სიმაგრის ადგილას. ბათუმისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვიწრო, (2-დან 7 კმ.-მდე სიგანის) 35 კმ სიგრძის სანაპირო ზოლზე, განლაგებულია ზღვისპირა კურორტთა ჯგუფი - მახინჯაური, მწვანე კონცხი, ქობულეთი. ეს ადგილები ძალიან ლამაზია ციტრუსების პლანტაციებით, მაგნოლიის, პალმების, ბამბუკის, ევკალიპტის და დაფნის ხეების კორომებით. ბათუმის ჩრდილოეთით მდებარეობს ბოტანიკური ბაღი, სადაც თავმოყრილია ტროპიკული და სუბტროპიკული ფლორის მდიდარი კოლექცია. ბათუმის კლიმატი ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°C, იანვარში საშუალო ტემპერატურა 7,1° C, აგვისტოში 23,2°C. ნალექები 2560 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე 81%. ხშირია კოკისპირული წვიმები. ბათუმის სამკურნალო საშუალებები - კლიმატოთერაპია და ზღვის აბაზანები. ზღვის წყალი

თბილია; ახასიათებს ტემპერატურის მუდმივობა და მაღალი მინერალიზაცია. ზღვის ნაპირი დაფარულია გრავიუმის და სილის ფენით; გამოი რჩევა ზღვის დონისადმი დამრეცი დახრილობით. ბათუმში არის მუზეუმი, ბათუმის აკვარიუმი, ბოტანიკური ბაღი , დელფინარიუმი, ცირკი და "ბათუმის რივიერა" - დასასვენებელი და გასართობი კომპლექსი შავი ზღვის სანაპირ ოზე. ბათუმში არის ყველა მთავარი რელიგიური მიმდინარეობის საკულტო ნაგებობები: მართლმადიდებლობის, კათოლიზმის, ისლამის, იუდაიზმის. ბათუმში არის ბათუმისა და სხლართის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

## ბ ე შ უ მ ი

ბეშუმი, ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატური კურორტი აჭარაში ხულოს რაიონში, არსიანის ქედზე, გოდერძის უღელტეხილიდან 7 კმ. ზღვის დონიდან 1850-1900 მ, ხულოდან 30 კმ. მდიდარია წიწვიანი ტყეებით. ზაფხული ზომიერად გრილია (აგვისტოში საშუალო ტემპერატურა 17,0°C), ზამთარი ზომიერად რბილი (იანვარში საშუალო ტემპერატურა - 5,0°C). მკურნალობენ სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზურ დაავადებებს, სისხლნაკლებობას, ბავშვთა ქრონიკულ დაავადებებს. სეზონია ივნისი-სექტემბერი.

## ბ ო რ ჯ ო მ ი

ბორჯომი, ქალაქი-კურორტია აღმოსავლეთ საქართველოში და ბორჯომის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. ქალაქად 1921 წელს გამოცხადდა. მოსახლეობა

9,9 ათასი (2002 წ.). სახელი ოფიციალურ წყაროებში XIX საუკუნეში იხსენიება. ქალაქის ადგილას XV-XVIII სს-ში იყო რამდენიმე სოფელი: ნუა, ფაფა, ჭალა. იმავე ხანებში ურავლის ხეობაში იყო ბორჯომის სახელით ცნობილი სოფელი. ვარაუდობენ, რომ ეს სახელი უნდა მოეტანათ ოსმალეთის დაპყრობითი ომების შედეგად ჩამოსახლებულ ლტოლვილთა მოსახლეობას. ბორჯომი ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია, მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, მტკვრის, გუჯარეთის წყლის და ბორჯომულას ნაპირებზე, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე, ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული ნარძალის აღმოსავლეთით. იქ ხშირად ისვენებდნენ რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრები, სახელმწიფო და კულტურის მოღვაწენი: მ. გორკი, პ. ჩაიკოვსკი, ი. სტალინი, გ. დიმიტროვი და სხვები. ბორჯომში არის სახელგანთქმული მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც ამჟამად საქართველოს №1 საექსპერტო პროდუქცია. აქვეა მცირე საწარმოები და კულტურის დაწესებულებები (თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი). ბორჯომთან ახლოს მდებარეობს სამთო-სათხილამურო ცენტრი ბაკურიანი, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები: ცემი, წაღვერი, XIII საუკუნის მონასტერი დაბა, შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები პეტრესციხე და გოგიასციხე, ტბა ტაბაწყური. ბორჯომი არის ბორჯომისა და ახალქალაქი ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია. 2005 წლის 22 ივნისს საქ ათველომ ბორჯომი ბაკურიანთან ერთად 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პრეტენდენტ ქალაქად დაასახელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ ა კ უ რ ი ა ნ ი

ბაკურიანი - დაბა ბორჯომის რაიონში. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე ბაკურიანისწყლის (გუჯარეთისწყლის შენაკადი) ნაპირას (ზღვის დონიდან 1700 მ, ბორჯომიდან 30 კმ). ბაკურიანი გაშლილია ე.წ. ბაკურიანის ქვაბულის ძირზე, რომელიც ვულკან მუხერიდან ამონთხეული ლავით არის აგებული. ჰავა ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურისაკენ გარდამავალია, ზამთარი - ცივი, თოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი. საშუალო ტემპერატურა 4,3°C, იანვარისა 7,2°C, აგვისტოში 15°C. ნალექები 734 მმ წელიწადში. თოვლის საფარი (64 სმ სისქის) დეკემბრის დასაწყისიდან მარტის ბოლომდე. წარმოადგენს ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი 37 კმ-იანი სარკინიგზო განშტოების ბოლო პუნქტს. დაბის სტატუსი მიენიჭა 1926 წელს. მოსახლეობა 2,0 ათასი კაცია. ბაკურიანის მიდამოები შემოსილია წიწვიანი ტყით, იგი ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტია. ფაქტორებია: მთის ჰავა, მზის ხანგრძლივი ნათება (2052 სთ წელიწადში) და ულტრაიისფერი სხივების მაღალი რადიაცია. სამედიცინო ჩვენება: ლიმფადენტი, სასუნთქ ორგანოთა ქრონიკული ტუბერკულოზური დაავადებანი, სისხლნაკლებობა. ბაკურიანი საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო ცენტრია. 1932 წელს გაიხსნა პირველი სათხილამურო ბაზა. ბაკურიანიდან კოხტაგორის მთაზე (1,3 კმ) და ცხრაწყაროს ურელტეხილზე (3,5 კმ) გაყვანილია საბაგირო გზები, აგებულია სათხილამურო ტრამპლინები. 2005 საქართველოს მთავრობამ ბაკურიანი წარადგინა 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთ კანდი-

დატად. 2006 წლის 13 იანვარს კი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაკურიანში ახალი საზაგირო გზა გახსნა. ბაკურინში არმოჩენილია მეგალითური კულტური ნაში, შემორჩენილი ადრინდელი ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობა "პანტნარის ტამარი".

## წ ა ღ ვ ე რ ი

წაღვერი- დაბა ბორჯომის რაიონში. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1020-1130 მ-ის სიმაღლეზე, ბორჯომიდან 14 კმ-ზე მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. წაღვერზე გადის ბორჯომი-ახალქალაქის საავტომობილო გზა . დაბის სტა ტუსი მიიღო 1926 წელს. მოსახლეობა 1,1 ათასი (2002). წაღვერი სამთო-კლიმატური კურორტია ვახუშტისთან ფიგურირებს "წაღველი", ფიქრობენ რომ ეს ისეთივე ტოპონომია, როგორც წაღვლი (მდებარეობს ხაშურის რაინში). მათი პირველსახე წიაღველი უნდა იყოს, რც ნიშნავს იქითა ანუ გაღმა მდებარე ველს. ასეთია ძველი წაღვრის მდებარეობა აწინდელთან. XIX ს-ის 30-იან წლებში მეფის მთავრობამ პოლტავის გუბერნიიდან გადმოსახლებულთა ნაწილი აქ ჩამოასახლა.

## გ უ დ ა უ რ ი

გუდაური - სამთო-სათხილამურო კურორტი სტეფან-წმინდის (ყოფილი ყაზბეგის) რაიონში, კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე, თბილისიდან 120 კმ-ში, ზღვის დონიდან 1196 მ სიმაღლზე. საათხილამურო სეზონი დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. კურორტის პოპულარობა ახლომდებარე საქართველს სამხედრო გზამ განაპირობა.

კურორტის პირველი მოთხილამურეები ხელოვნურად შექმნილი საწევლებით სარგებლობდნენ და მთაზე ჩამოსასრიალებლად ავტომობილის 'ლებიოდკის' მეშვეობით ადიოდნენ. პირველი ევროპული სტანდარტის სასტუმრო გუდაურში 1988 წელს აშენდა (თავდაპირველად სასტუმრო "მარკო პოლო", ამჟამად "გუდაური"). ამავე პერიოდში შეიქმნა საზაგირო გზა, რამაც განაპირობა კურორტის შემდგომი განვითარება. დღესდღეობით მოქმედ სამ და ოთხ ადგილიან საწაველებს მოთხილამურეები 2000 მეტრიდან 3006 მ. სიმაღლეზე აჰყავს (მთა კუდებზე). ამჟამად სულ 4 საწეველა ფუნციონირებს. სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე 16 კმ-ს შეადგენს.

## წ ყ ა ლ ტ უ ბ ო

წყალტუბო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კურორტია. მისი ტერიტორია 707 კვ.კმ-ია. მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია, მაგრამ ცხოვრობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, უკრაინელები, ბერძნები და ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. კლიმატი თბილია, ზომიერად ტენიანი. ზაფხულში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა +38 - +41 გრადუსია.ყველაზე მთავარი, რითიც კურორტი თითქმის მთელს მსოფლიოშია განთქმული, უნიკალური თერმულ-რადონული მინერალური სამკურნალო წყლებია. რომელიც ბუნებრივად 35-37 გრადუსია და გათბობასაც არ საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ წყალს სუნი არა აქვს და უსიამოვნო შეგრძნებებსაც არ იწვევს. კურნავს 60-ზე მეტ დაავადებას, მათ შორის: პერიფერიული ნერვული სისტემის, სისხლძარღვების, კანის, გინეკოლოგიურ და სხვა

დაავადებებს. წყალტუბოში სულ 18 სანატორიუმი და 2 პანსიონატი იყო. აქედან დღეს მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს. ყველაზე ცნობილი მეექვსე სააბაზანოა, რომელიც სტალინის სახელს უკავშირდება. აქ პატარა მუზეუმია, სადაც დიდი ქართველი ბანაობდა და ისვენებდა. ამ ოთახებით სარგებლობის უფლება ახლა მხოლოდ განსაკუთრებულ პირებს აქვთ . როგორიც მაგალითად , არც მეტი არც ნაკლები, "იტერას" პრეზიდენტია. სხვა განყოფილებებში სეზონზე (მაისი-ოქტომბერი) ბევრი მკურნალობს. პროცედურების ხანგრძლივობა 25 წუთია. ფასები კი განსხვავებული. მაგალითად: აბაზანა ინდივიდუალურ კაბინაში 4 ლარია; ჰიდრომასაჟი - 10 ლარი; შხაპი "შარკო", რომელიც წონაში დასაკლებადაა - 8 ლარი; ხერხემლის ჰორიზონტალური გაჭიმვა - 16 ლარი და სხვა. მკურნალობის შემდეგ ღამის გასათევს, როგორც წესი, თავად სანატორიუმები უზრუნველყოფენ. ცხელი წყლით უზრუნველყოფილ ბინაში ღამის გათევა 5 ლარი, ნაკლებად კომფორტულში კი 3 ლარი ღირს. არსებობს სანატორიუმ "საქართველოს" საოჯახო კორპუსიც, რომელიც სასტუმროდაა გადაკეთებული. შენობა სამსართულიანია და სულ 12 ადამიანზეა გათვლილი. ნომერი კაცზე 30 ლარი ღირს. იქვეა ბილიარდი და საბანკეტო დარბაზი. აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს საუცხოო მდებარეობა აქვს. ის ორი მთავარი ზონისგან შედგება. პირველი - რუსთაველის ქუჩა, რომელიც პარკს რკალავს და რომელზეც ყველა სანატორიუმია განთავსებული. მეორე - სადაც საცხოვრებელი სახლები მდებარეობს. ქალაქი იმდენად პატარაა, რომ ღებით გადაადგილებას დიდი დრო არც მიაქვს. ქუთაისიდან კი სულ 15 წუთია საჭირო. დადის

სამარშრუტო ტაქსები. ქალაქით დიდი ხანია უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ. მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე იგეგმება. ერთადერთი კი, რაც ქალაქში უკვე აშკარად იგრძნობა, სტადიონის მახლობლად ახალი კომპლექსის მშენებლობაა. ფართი ქართველმა ბიზნესმენმა შეიძინა და იქ სასტუმროს, რესტორნის, კორტებისა და სხვა გასართობი თუ სპორტული დაწესებულებების თავმოყრას გეგმავს.

## ს ი ღ ნ ა ღ ი

სიღნაღი ცივ-გომბორის ქედზეა გაშენებული. ქალაქს გარს აკრავს გალავანი, რომელიც მეფე ერეკლეს დროსაა აშენებული. გადმოცემის თანახმად, სიღნაღის გალავნის აგებაში კახეთის სხვადასხვა სოფლები იღებდნენ მონაწილეობას. ლეგენდის მიხედვით ეს გალავანი რძეში არეული ქვიშით აუგიათ, რადგან ახლომახლო წყალი არ იყო. მოჰყავდათ სოფლელებს თავიანთი ფურ-კამეჩი და რძით ურევდნენ ქვიშას, ამიტომაც ძალიან მაგარი ყოფილა. გალავანში 30 ბურჯი ან კოშკი იყო, ზოგი სამსართულიანი, ზოგიც ორსართულიანი. ასევე იყო პატარა კოშკები. ბურჯები სათვალთვალოთ გამოიყენებოდა. გალავანში სათოფურებიც იყო დატანებული. გალავანს ოთხი დიდი ალაყაფის კარები ჰქონია, ასევე ყოფილა პატარა კარებებიც. მტრის შემოსევისას ალაყაფის კარებებს კეტავდნენ.

სიღნაღიდან ხელისგულივით მოსჩანს მთელი ალაზნის ველი და იგი კარგ სათვალთვალო ადგილს წარმოადგენდა, მტრის შემოსვლას ადვილად ამჩნევდნენ.

იგი ისტორიული მნიშვნელობის ქალაქია. ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს. დღესაც შემორჩენილია ძველებური,

ხის რიკულებიანი სახლები. სიღნაღში არის ბოდბის ეპარქია, აქვე მდებარეობს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი. მონასტრიდან დაა ხლოების 3 კილომეტრში კი წმინდა ნინოს წყარო, რომელსაც უამრავი მორწმუნე თუ ტურისტი სტუმრობს. 2007 წლის 25 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიღნაღი ქალაქ-მუზეუმად გამოაცხადა. ახლა აქ სასტუმროების მშენებლობის ბუმია. ის მალე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გადაიქცევა.

## 4.3. სამკურნალო დასასვენებელი კურორტები

### კურორტი „ზეკარი"

ბალნეოლოგიური კურორტი „ზეკარი'' მდებარეობს ბაღდათის რაიონში ზღვის დონიდან 650 მ. და რაიონული ცენტრიდან 25 კმ-ითაა დაშორებული.

მინერალური წყლის სამკურნალო ჩვენებებია: ქრონიკული ართრიტები, ინფექციური, ტრავმული ცვლითი წარმოშვების, მსუბუქი ფორმის სპონდილოზები, სპონდილოართროზები, საშვილოსნოს და მისი დანამატების, ქრონიკული ანთებითი პროცესები, მიოკარდიოდისტროფია კომპენსირებულ სტადიაში, კარდიოსკლეროზი (მიოკარდიული და ათეროსკლეროზული წარმოშობის კომპენსირებულ სტადიაში), ჰიპერტონული დაავადება 1-2-ა სტადიაში, ანგიონევროზები, თრომბოფლებმიტები მწვავე ნერვული სისტემის დაავადებები: ნეფრიტები, ნევრალგიები, რადიკულიტები და სხვ. ნერვული სისტემის

ფუნქციონალური დაავადების ვეგეტოდისტონური და ნევროსთენიური მოვლენები, რევმატიზმი, რევმატიული პოლიართრიტი, რევმატოიდური პოლიართრიტი.

კურორტი წარმოდგენილია 4 კორპუსით: 1 კაპიტალური შენობით, აბაზანით, 3 კოტეჯით, 250 კაცზე სასადილოთი.

## კურორტი სიმონეთი

კურორტი სიმონეთი (თერჯოლის რაიონი) ფუნქციონირებს 1967 წლიდან. 42 გრადუსიანი მინერალური ცხელი წყლით. აბაზანების მიღებით მკურნალობენ ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა: საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადება, მწვავე ქრონიკული ათრიტები, ნივთირებათა ცვლის მოშლის, სპინდო ათრიტი, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადება და სხვა.

კურორტზე აშენებულია (დაუსრულებელია) 30 აბაზანიანი შენობა, რომელიც ამჟამად სანახევროდ მწყობრიდანაა გამოსული. ფუნქციონირებს ძველი სააბაზანო, რომლითაც დღე-ღამეში შესაძლოა 280 დამსვენებლის გატარება.

## კურორტი „სულორი"

კურორტი „სულორი" აჭარა-ახალციხის მთის კალთეზე, ვანის რაიონის ცენტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 9 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

„სულორის" მინერალური წყლები წყალტუბოს მინერალური წყლების ტიპისაა. ქიმიურ შემადგენლობაში არ შედის ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებები.

შემადგენლობაში ნაპოვნი ბრომის მარილები დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. საუკეთესო თვისებად რადიოაქტიობა და მისი ბუნებრივი ტემპერატურა ითვლება, რომელიც ზამთარ-ზაფხულ 38 გრადუსს აღემატება. „სულორის" მინერალური წყლით მკურნალობენ ქრ. ათრიტებს, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს (კარდიო სკლეროზი, ჰიპერტონია), ტრომბოფლემიტები, ნერვიული სისტემის დაავადებები, გინეკოლოგიური დაავადებები.

კურორტს აქვს საკუთარი პოლიკლინიკა თავის აღჭურვილობით. ბალნეოთერაპიული მკურნალობისათვის 32 ინდივიდუალური აბაზანაა. შენარჩუნებულია შენობა-ნაგებობანი მაგარი და რბილი ინვენტარი.კურორტი მუშაობს სეზონურად 6 თვე.

## ბალნეოლოგიური კურორტი „ამაღლება"

კურორტი „ამაღლება" მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე, ვანის რაიონული ცენტრის მახლობლად. მინერალური თერმული წყლების ტემპერატურა აღემატება 40 გრადუსს, შეიცავს ნატრიუმს, ქლორს, ნახშირორჟანგს და კაჟმჟავას.

„ამაღლების" მინერალური წყალი აბაზანის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი დაავადებების

სამკურნალოდ:

1. ქრონიკული ართრიტები: ინფექციური, რევმატიული, ტრავმული, ნივთიერებათა ცვლის მოშლის და ენდოკრინული წარმოშობის

2. მსუბუქი ფორმის სპინდილოზები და სპსპონდილოართროზები

3. მიოკარდიოდისტროფია კომპენსირებული სტადიაში

4. კარდიოსკლეროზი: მიოკარდიული და ათეროსკლეროზული წარმოშობის კომპენსირებულ სტადიაში

5. ჰიპერტონული დაავადება პირველი სტადიის

6. ანგიონევროზები

7. ტრომბოფილობიტები პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტები, ნევრალგიები, რადიკულიტები და სხვ.)

8. ნერვული სისტემის ფუნქციონალური დაავადებები. ვეგეტოდისტონიური და ნევროლოგიური

9. საშვილოსნოსა და მისი დანამატების ქრონიკული ანთებადი პროცესები

კურორტ „ამაღლებასთან" აღმოჩენილია მინერალური წყალი „ჭოკიანი", რომელიც მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ქლორიდული, ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს.

„ჭოკიანის" მინერალური წყალი გამოიყენება დიაბეტით დაავადების დროს. გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ წყალს გააჩნია შაქრის შემცირების უნარი. ის შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ ი დაავადებების სა მკურნალოდ, როგორიცაა: ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული კოლიტი, ქრონიკულიჰეპატიტი, ქოლეცისტიტი.

კურორტ „ამაღლების" განვითარებისთვის დაწყებულია 200 ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა, რომელიც ამჟამად დაკონსერვებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბალნეოლოგიური კურორტი „სამტრედია“

65-გრადუსი ტემპერატურის მქონე მინერალური წყალი 3 მილიონი ლიტრი სადღეღამისო დებეტით,რომლის სამკურნალო თვისებებია საყრდენ მამოძრავებელი სისტემების, ძვლების კუნთების სხვადასხვა წარმოშიობის, ნერვიული პერიფერიული სისტემის ქრონიკული დაავადებები, კანის სნეულებები და ჰიპერტონული დაავადებები.კურორტს გააჩნია 10 სააბაზანო და 4 სართულიანი საძილე კორპუსი 150 დამსვენებლზე.

## კურორტი ,,ნუნისი"

კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ტყეპარკის ტერიტორიაზე მდებარეობს,რომლის მინერალური წყალი კარგად მოქმედებს კანის ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა ფსორიოზი, ეგზემა და სხვა. აქვს 5 კოტეჯი და განკუთვნილია 80-100 პერსონისათვის აქვს სასადილო და კლუბი. შეემატა კომფორტაბელური საძილე კორპუსი.

## კურორტი საწირე

კურორტი საწირე ცნობილია, როგორც ბავშვთა გამაჯანსაღებელი კურორტი.ის ხღვის დონიდან 730-740 მეტრზე მდებარეობს. ზღვისა და მთის შერწყმული ჰავა განსაკუთრებით ეფექტურია სასუნთქი ორგანოების, გულსისხლძარღვთა და ალერგიული დაავადებების, ბრონხიტის, ფილტვების ანთების, თანდაყოლილი გულის მანკის, ბრონხიაალური ასთმის სამკურნალოდ, გააჩნია საძილე კორპუსები 150 პერსონისათვის და სასადილო.

## კურორტი წყალტუბო

მრავალპროფილიანი ბალნეოლოგიური კურორტი, განთქმულია უნიკალური თერმულ-რადიონული მინერალური წყლებით,რომლითაც სხვადასხვა სახის 60 დაავადებას მკურნალობენ. წყალტუბო მეტად პოპულარული იყო საბჭოთა პერიოდში. წელიწადში 150000 კაცი ისვენებდა და მკურნალობდა ისეთ დაავადებებს, როგორიცაა საყრდენ-მამოძრავებელი და პერიფერიული ნერვული სისტემები, გინეკოლოგიური დაავადებები კურორტი განკარგულებაში იყო 23 სანატორიუმი და პანსიონატი 3500 პერსონისათვის.

დღეისათვის მუშა მდგომარეობაშია 2 სანატორიუმი 300 პერსონისათვის.

სამკურნალო მღვიმეები და გამოქვაბულები საქართველო მდიდარია მღვიმეებითა და გამოქვაბულებით. ცნობილია ანაკოდიისა და არაბიკას, ამტყელის, ასხის, უფსკრულები, სათაფლიის , ნა ვენახევის, აბრკილის , ცუ ცხვათის, წინაბერეთის, წყალტუბოს უმისათავისა და თეთრას მღვიმეები. გეოგრაფფიული მდებარეობით ისინი ახლოს არიან ქუთაისთან აღმოჩენილი და შესწავლილი ღვიმეების გარდა იმერეთში გვხვდება შეუსწავლელი მღვიმეები, რომელთა მიკროკლიმატი, სტაბილური ტემპერატურა მისაღები და სასრგებლოა სამკურნალო თვალსახრისით. ისეთი დაავადებებისათვის, როგორიცაა ბრონქიალური ასთმა, იპერტონული და ჰიპოტონური დაავადებები. ზემოთ ჩამრთვლილი მღვიმეებიდან კეთილ მოწყლობილია . მხოლოდ სათაფლიისა და ნავენახევის მღვიმეები.

## 4.4. სარეკრეაციო ობიექტები

დასავლეთ საქართველო, რომლის ტერი-ტორია მოფენილია გამოკვლეული და შეუსწავლელი მღვი-მეებით მოითხოვს სამკურნალო ტურიზმის მიმართულების შესწავლას, რადგან მას აქვს ყველა პირობა გახდეს მსოფლიოში ამ მეთოდით მკურნალობის ერთ-ერთი სერიოზული ცენტრი.

ტბები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები იმერეთის მხარე მდიდარია ფლორითა და ფაუნით. მის ტერიტორიაზე ტყის მასმვებს 250000 ჰა უჭირავთ.

რომელიც ლამაზადაა შერწყმული მთა გორიან ლანდშაფტს. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2850 მეტრია. ფოთლოვან ტყეებთან ერთად აქ შეხვდებით წიწვოვან და შერეულ ტყეებს. კავკასიისათვის ღამახასიათებლ ფაუნის წარმომაოგენლებს. კავკასიურ დათვს, ტახს, ირემს, შველს, მელას მგელს და ტურას, ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველთა სამყარო. ეკოლოგიური სისუფთავე და ველური ხელშეუხებელი ბუნება საინტერესოს ხდის მას მოგზაურისათვის. ასეთ ზონებს მიეკუთვნება სათაფლიის, აჯამეთის მუხნარის, ვანის ჭიათურიის ზაღდათის და განსაკუთრებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელსაც იმერეთში 24000 ჰა ტერიტორია უჭირავს და უმდიდრესია თავისი ფლორითა და ფაუნით. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნებიან ტერიტორიები, სადაც დღეს ტყიბულის, შაორის და რიონჰესის წყალსაცავებია. გარდა დიდი ტბებისა იმერეთში მრავლა დ გვხვდება ბუ ნებრივი ტბები 1000 და 1500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. თვითოელი მათგანი გვაძლევს მდიდარ შესაძლებლობას ადგილზე ახალი ტურიტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

## ქუთაისი

დასავლეთ საქართველოს ყოფილი ტურისტული ცენტრი საბჭოთა პერიოდში, საიდანაც ხდებოდა ტურისტთა ნაკადის რეგულირება დასავლეთ საქართველოს კურორტებსა და დასასვენებელ ბაზებზე. 150000 ტურისტი საშუალოდ წელიწადში, 9 მსხვილი განთავსების ობიექტით 2500 საწოლზე. დღეს ქუთაისი წარმოდგენილია 26 სასტუმრო სახლითა და 3 ახალი სასტუმროთი, რომელთა საერთო მოცულობა 250 პერსონაზეა გათვლილი.

ქუთაისი თავისი შესაძლებლობებით საჭიროებს პირველ ეტაპზე ე.ი. 2002-2005 წლებისათვის ერთ 3-4 ვარსკვლავიან სასტუმროს 150-200 ადგილით. აუცილებელია აღდგეს ყოფილი ტურბაზა ,,რიონის'' ტერიტორიაზე ტურისტული, კემპინგის საქმიანობა ახალ ხარისხში დაახლოებით 70-80 ადგილზე და მოხდეს ოღასკურას ხეობის განაშენიანება ტურისტული კომპლექსისათვის. ტურიზმის ძირითა დი სახეებიდა ნ ქუ თაისი უნდა გახ დეს რურ და ურბანული ტურიზმის ცენტრი დასავლეთ საქართველოში, კერძოთ მან უნდა დაიბრუნოს და განავითაროს კულტურული ტურიზმის ძველი ტრადიციები, როცა ქუთაისში სისტემატურად ეწყობოდა კლასიკური მუსიკის, ქართული ხალხური სიმღერების ფესტივალები, ქართული ფილმის დღეებიდა სხვა. ამასთან ქუთაისში ჩატარებული ღონისძიებები ფართო ასახვას ჰპოვებდა ახლო მდებარე რაიონებში.

ყოველწლიურად ტარდებოდა ვ. მაიაკოვსკის დღეები, რომელიც თავს უყრიდა საბჭოთა სივრცის ცნობილ პოეტებსა და პოეზიის მოყვარულებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმერეთის მხარეს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა ყოველწლიურად ჩაატაროს ზ. ფალიაშვილის მ. ბალანჩივაძის, ჯორჯ ბალანჩინის (გიორგი ბალანჩივაძის) რევაზ ლაღიძის, ჯ. კახიძის გ. ტაბიძის მუსიკისა და პოეზიის ფესტივალები, დავინახავთ, რომ ამ თვალსაზრისით ქუთაისს ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია.

ქუთაისმა ბოლო წლებში კარგი გამოცდილება შეიძინა საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციების ჩატარების თვალსაზრისით. იგი, როგორც იმერეთის აგრარული სექტორის და საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, შესაძლებელია გახდეს საქართველოში საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარების ერთ ერთი მსხვილი ბაზა.

## წყალტუბო

წყალტუბოს რაიონი – საქართველოს საკურორტო ფლაგმანი. იგი ცნობილია მინერალური წყლებითა და საკურორტო ინფრასტრუქტურით, რომელმაც გართულებული პოლიტიკური ვითარების დროს დიდი ზიანი განიცადა. ამსთან, აქ მოქმედებს 2 სანატორიუმი და ბალნეოსერვისის მინერალური წყლების აბაზანები, რომლებიც ემსახურებიან დამსვენებლებს. წყალტუბოს რაიონი გამოირჩევა მთაგორიანი ლანდშაფტით. ტყისა და მთის მასივებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, ნაკრძალებითა და გამოქვაბუ-

ლებით. რაიონს ეკუთვნის სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორია და აქ აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალები. იგი ასევე ცნობილია სათაფლიის, ყუმისთავისა და თეთრას გამოქვაბულებით. წყალტუბო აგრარული რაიონია. აქ განვითარებულია ჩაის კულტურა. შესაძლებელია განვითარდეს სამთო საცხენოსნო, სამთო ქვეითი და ეკოტურიზმი. კარსტული გამოქვაბულების დიდი არჩევანი კარგ შესაძლებლობას იძლევა სპელეო ტურიზმის განვითარებისათვის, ასევე კარგი შესაძლებლობები აქვს აგროტურიზმს.

## ხარაგაული

ხარაგაულის რაიონი. აქ წარმოდგენილია უმდიდრესი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის.

უმთავრეს ობიექტს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი წარმოადგენს რომელსაც რეგიონში 24000 ჰა ფართობი უჭირავს. მთაგორიანი რელიეფი, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან – 2180 მ, უნიკალური მთის მდინარეებითა და ტბებით, ფლორითა და ფაუნით, სადაც ვხვდებით ენდემურ ჯიშის მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ ამ ტერიტორიებისათვისაა დამახასიათებელი. პარკი მდებარეობს თორის, არგვეთის, სამცხის ისტორიულ ფარგლებში და საქართველოს 5 რეგიონს ესაზღვრება. აქედან 2 – იმერეთის: ხარაგაულისა და ბაღდათის რაიონებია. პარკის შესაძლებლობები, რომელსაც გერმანიის WWF აფინანსებს, სცილდება მხოლოდ დაცული ტერიტორიის ტურიტულ ფუნქციას და ტუროპერატორებს გაცილებით მეტი იმპროვიზირების საშუალებას აძლევს ტურისტული პროდუქტის დამუშავების დროს. პარკის ტერიტორიით იწყება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა. აქ ქადაგებდა

ქრისტიანულ რელიგიას ანდრია პირველწოდებული, რასაც ყველაზე მაღალ მთაზე აღმართული რკინის ჯვარი მოწმობს. ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთა თემატიკა ამოუწურავი მასალაა ისტორიის მოყვარულთათვის.

ხარაგაულის რაიონიდან იწყება პარკის ორი შესასვლელი ნუნისი და მარელისი. ეს მარშრუტები 5 კმ-დან 35 კმ-მდე სიგრძისა და განსხვავებული სირთულისაა. ვიზიტორთა პროგრამა ითვალისწინებს, როგორც უბრალოდ ფეხით მოსიარულეთა ინტერესებს, ასევე ეკოლოგიური განათლების საფუძვლებსაც. მარშრუტებზე და გადასასვლელებზე 3 ტურისტული თავშესაფარია. ხარაგაულის რაიონში, გარდა ეროვნული პარკისა არის, მდიდარი შესაძლებლობები აგროტურიზმის განვითარებისათვის, ასევე საცხენოსნო ტურიზმი, ისტორიული და კულტურული. აქ განვითარების კარგი შესაძლებლობები აქვს ღვინისა და სამზარეულოს, ხალხური დღესასწაულების ტურებს. ხარაგაულის რაიონი იმერეთის ერთ-ერთ უმდიდრეს საკურორტო ზონას წარმოადგენს. კურორტი „ნუნისი", რომლის მინერალური წყალი კურნავს კანის დაავადებებს, შესანიშნავი ჰავა ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ და სხვა. აქვეა მინერალური წყალი „ზვარე".

## ბაღდათი

ბაღდათის რაიონი იმერეთის რეგიონის ერთ-ერთი მდიდარი აგრარული სექტორია. იგი ცნობილია კურორტ „საირმის" მინერალური წყლებითა და რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმით. აქ ყოველწლიურად 80 000 ზე მეტი კაცი მოგზაურობდა და ისვენებდა კურორტ საირმის

დასასვენებელ კორპუსებში. ბაღდათის რაიონში შეიძლება განვითარდეს აგროტურიზმი, ისტორიული, და კულტურული, ფოლკლორული, საცხენოსნო, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. გარდა აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმისა განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვს რაიონს სამკურნალო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. იგი შესაძლებელია გაფართოვდეს ზეკარის, მამანეთის, წითელი მინდორის მიმართულებებით. ბაღდათის რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შერჩეულია ტერიტორიები მამანეთზე, წითელ მინდორზე, სოფ. ქლიბულში, სოფ. უდაბნოში, სოფ. ნერგეეთში, სოფ. ნიქაბეეთში, სოფ. ლიანთხაში. აქ გათვალისწინებულია, როგორც ბალნეოლოგიური კურორტების, ასევე ტურისტული კემპინგების, ზამთრის სპორტული თამაშობების ბაზის მშენებლობა.

## ვანი

ანტიკური კოლხეთის ნაქალაქარი არქეოლოგიური მუზეუმითა და არქეოლოგიური გათხრებით, რომელმაც დაადასტურა არგონავტების ცნობილი ისტორიის რეალობა ძველ კოლხეთში. დიდი ქართველი პოეტის გ. ტაბიძის სახლმუზეუმი. მდიდარი რეგიონი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით. საკურორტო დარგი წარმოდგენილია კურორტებით „სულორი" და „ამაღლება", მინერალური წყლებით, ულამაზესი მთის ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ვანში შესაძლებელია აგროტურიზმის, საცხენოსნო, ისტორიული და კულტურული, ღვინისა და სამზარეულოს ტურების ორგანიზება. კარგი შესაძლებლობები აქვს ეკოტურიზმს, საწყალოსნო ტურიზმს

მდინარე რიონზე, სათევზაო და სანადირო ტურიზმს. ვანის რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შერჩეულია ტერიტორიები სოფ. გადიდის მთაზე, სოფ. ონჯოხეთში და ვანში ,,მშვიდობის გორაზე".

## ტყიბული

იმერეთის ჩრდილოეთით მდებარე მთაგორიანი ლანდშაფტის, განვითარებული აგრარული სექტორის მქონე რაიონი, რომლის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებს მეჩაიეობა, მეხილეობა მეცხოველეობა წარმოადგენს. ტყიბულის რაიონი ცნობილი იყო საბჭოთა სივრცეში, როგორც მეშახტეთა ქალაქი. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტრადიციული გასაღების ბაზრის დაკარგვამ ტყიბულის რაიონი, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავალი დაკავშირებული იყო ქვანახშირის მოპოვებასთან, უფუნქციოდ დატოვა. რაიონის ტურისტული და საკურორტო პოტენციალი წარმოდგენილია კურორტების სოჩხეთის, საწირის, ცხრაჯვარის, ხრესილის დასასვენებელი კომპლექსებით. ორი წყალსაცავით, რომლებიც იშვიათი სილამაზით გამოირჩევიან და კარგ შესაძლებლობას აძლევენ რაიონს საწყალოსნო და სათევზაო ტურიზმის განვითარებისათვის. ტყიბულის რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, გელათის სამონასტრო კომპლექსი (XII ს.), მოწამეთის მონასტერი (VIII-XI ს.) და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა სპელეოლოგიის კუთხით. მის ტერიტორიაზეა ცუცხვათის 13 სართულიანი 1 მღვიმე ცხრაჯვარის გამოქვაბულები. ასევე ჭახათის საკაჟიას მუხურას მღვიმეები. ტყიბულის რაიონში, ისე როგორც იმერეთის სხვა რაიონებში, შესაძლებელია განვითარდეს ეკო და აგროტურიზმი,

სათავგადასავლო ტურიზმის მთელი რიგი სახეები. რაიონის ხელმძღვანელების მიერ ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შერჩეულ იქნა ტერიტორია ცხრაჯვარის მთაზე (1570 მ ზღვის დონიდან).

## ჭიათურა

ძველი საქარავნო გზა, რომლის ლანდშაფტი მოფენილია ანტიკური და გვიანი რენესანსის ისტორიული ძეგლებით. იმერეთის ჩრდილო აღმოსავლეთის მთაგორიანი რაიონი მდინარეებითა და მთის ტბებით, ყვირილა, ,,შემოსარები", ღურღუმელას, მანდაეთის, ტყემლოვანის, ბერეთის, ხრამის ტბები, რომლებიც კარგ შესაძლებლობებს ქმნიან საწყალოსნო სათევზაო და დასასვენებელი დღეების ტურიზმის განვითარებისათვის.

რაიონი მდიდარია ფლორითა და ფაუნით, კარსტული გამოქვაბულებით. შვილობისის, ნაკაჭკარი, ხრეითის ვერტიკალური, ხრეითის მრავალსართულიანი, გუნდაეთის, დარკვეთის, ნიგოზეთისა და ტყემლოვანას შუა მდებარე დიდი გამოქვაბული, რომელთა სიგრძე საშუალოდ 400-500 მ.-ია. რაიონის ლამაზი ბუნება, ზემო იმერეთისათვის დამახასიათებელი სტუმართმასპინძლობის ტრადიციული ინსტიტუტი ქმნის კარგ პირობას აგროტურიზმის განვითარებისათვის. ჭიათურის რაიონში შერჩეულია 45 სახლი აგროტურიზმის ცენტრების დასაარსებლად და 5 ტერიტორია ტურისტული ცენტრისა და გამაჯანსაღებელი ბაზების მშენებლობისათვის.

სოფ. ხრეითის, სოფ. კაცხის, სოფ. პერევისას, სოფ. სვერის და თვით ჭიათურის ტერიტორიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჩხერე

საჩხერის რაიონი – ქართველი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ა. წერეთლის სამშობლო, ზემო იმერეთი, მთაგორიანი ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. საკურორტო ზონა წარმოდგენილია კვერეთის დასასვენებელი სახლით. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ადრეული შუა საუკუნეების ციხე მოდი ნახე, სავანის ეკლესია, ითხვისის ეკლესია. და სხვა. საჩხერის რაიონში მიმდინარეობს სამონადირეო მეურნეობის ორგანიზების სამუშაები, რომელიც შექმნის კარგ წინაპირობას არსებული ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნებისათვის. რაიონში, ისე როგორც მთელ იმერეთში, კარგი პირობაა აგროტურიზმის, ასევე სამთო საცხენოსნო, სპელეოლოგიის, ღვინისა და სამზარეულოს ტურების განვითარებისათვის.

## ზესტაფონი

ზესტაფონი იმერეთის აგრარული რაიონია. ლამაზი ბუნებითა და იმერეთისათვის დამახასიათებელი სოფლებით, განვითარებულია მევნახეობა მეცხოველეობა. ზესტაფონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ბევრად განაპირობებდა მის როლს საქრთველოს ისტორიის თითქმის ყველა ეპოქაში. ისტორიული არგვეთის შუაგული, იშვიათი სილამაზისა და არქიტექტურის ძეგლები უძველესი ღვინის საცავები, ყურძნის ჯიშები, ყოველივე ქმნის კარგ პირობას აგროტურიზმის განვითარებისათვის. კარგადაა განვითარებული ხალხური რეწვა. ამასთან, ზესტაფონის რაიონს აქვს შესაძლებლობა განავითაროს ისტორიული, კულტურული ტურიზმი, საცხენოსნო,

ეკოტურიზმი. განსაკუთრებით ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. საქარის ა. სტაროსელსკის სახელობის საცდელი მევენახეობის მეურნეობასთან არსებული საუკუნის ღვინის საცავი იძლევა ტურიზმის ამ მიმართულების განვითარების შანსს. ზესტაფონში ტურიტული კომპლექსის შესაქმნელად შერჩეულია ტერტორია ვაქნარის მთაზე.

## თერჯოლა

თერჯოლის რაიონი წარმოდგენილია კურორტ ,,სიმონეთით,'' ნავენახევის მღვიმითა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი ,,საპოვნელათი'', ამასთან თერჯოლას, როგორც იმერეთის აგრარულ რაიონს აქვს კარგი შესაძლებლობა განავითაროს აგროტურიზმი, ღვინისა და სამზარეულოს, ისტორიული და კულტურული

ტურიზმი. თერჯოლის რაიონის სოფ. სიმონეთის მკვიდრი იყო დიდი ქართველი მწერალი, მეორე სერვანტესად წოდებული დ. კლდიაშვილი. თერჯოლის რაიონში ტურიტული კომპლექსების მშენებლობისათვის შერჩეულია სოფ. ძევრის, ნახშირღელის ტერიტორიები. ამასთან რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ჩხარის მთავარანგელოზის, ოქონის დედაღვთისას, გოდოგნის ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, რომელთა ისტორია მე-7 და მე-10 საუკუნეებით თარიღდება. რაიონში ცხოვრობენ საქართველოს მონარქების ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები, რაც ამ რეგიონს აძლევს საშუალებას განავითაროს ტურიზმის სპეციფიური მიმართულება.

## სამტრედია

ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი სამტრედია 30 კილომეტრითაა დაშორებული ქუთაისიდან.

საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სარკინიგზო კვანძი წარმოდგენილია კურორტ „სამტრედიით" 35 გრადუსის მქონე მინერალური წყლით, რომელიც გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების, ძვლების, კუნთების, სხვა და სხვა წარმოშობის ნერვიული, პერიფერიული, ქრონიკული სისტემების სამკურნალოდ. სამტრედია სუბტროპიკული ჰავის რეგიონია. აქ შერწყმული ზღვისა და მთის ჰავა, ამიტომაც კარგად ხარობს ციტრუსები.

რაიონში მდებარეობს ოფეთის მე-11 საუკუნის მთავარანგელოზის, საჯავახოს შუა საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიები, თამარ მეფის ციხე-სიმაგრე სოფელ ტოლებში. სამტრედიაში შესაძლ ებელია ტური ზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: აგროტურიზმი, საწყალოსნო, სამთო ქვეითი და საცხენოსნო, ეკოტურიზმი, ღვინისა და სმზარეულოს ტურები და სხვა. ტურტიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სამტრედიის

რაიონში შერჩეულია ტერიტორიები სოფელ ტოლებში, ნოღაში, ოფეთში, წიაღობანში, თხილგანსა და იანეთში.

## ხონი

უნიკალური ლანდშაფტის მქონე რაიონი, ასხის მთის, კინჩხას გადასასვლელებით, შერეული და ფოთლოვანი ტყის მასივები, რომლებიც კარგ შესაძლებლობას იძლევიან ეკოტურიზმის განვითარებისათვის. აქ შესაძლებელია მეკლდეურობა, საცხენოსნო და დასავენებელი დღეების

ტურების ორგანიზება. დადიანების გორდის სასახლე, წმინდა გიორგის XVI ს. ეკლესია, მათხოჯის დედათა მონასტერი. რაიონს აქვს კარგი პერსპექტივა სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის. გამაჯანსაღებელი ტურისტული ცენტრების შესაქმნელად შერჩეულია ტერიტორიები თვით ხონში, სოფ. კინჩხას, სოფ. გორდსა და სოფ მათხოჯში.

## ხ უ ლ ო

ხულო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი რაიონია. მდებარეობს 600-3000 მეტრზე ზღვის დონიდან, არსიანის ქედის დასავლეთით და ძირითადად სამი - ღორჯომისწყლის, სხალთისწყლისა და აჭარისწყლის ხეობებისგან შედგება. ტერიტორია - 710 კვ. კმ მოსახლეობა - 36399 ადამიანი კლიმატი - კონტინე ნტური, საშუალოო. წლიური ტემპერატურა 12,1 0C ფარგლებში მერყეობს. ნალექების საშუალოო წლიური რაოდენობა შეადგენს 1120-1500 მმ. რაიონული ცენტრი - დაბა ხულო თავისი არქიტექტურული მშენებლობით ევროპაში მეორე უნიკალური ხულო-თაგოს 1700-მეტრიანი საბაგირო გზის მონაკვეთის გავლისას, მნახველის მხედველობის არეში ექცევა დაბა ხულოსა და მისი მიმდებარე სოფლების განუმეორებელი ბუნებრივი სილამაზე.

ხულოს რაიონი მდიდარია მინერალური რესურსებით. ამჟამად არსებული 25-მდე მინერალური წყლებიდან გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ შესწავლილია წაბლანის, ხიხაძირის, დანისპარაულის, დიოკნისის, აზანოყელის, ყინჩაურის მინერალური წყლების გამოსავლები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ

ძველთაგანვე გამოიყენებოდა სასმელად და სამკურნალოდ. ისინი მიეკუთვნებიან ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმიან მინერალურ წყლებს. ტემპერატურა მერყეობს 6-15 გრადუსამდე.

უძველესი დროიდან ცნობილია სოფელ ბოღაურის თერმული წყალი, რომელიც შემადგენლობით გოგირდწყალბადიან-სულფატურ-ჰიდროკარბონატულია. ტემპერატურა მერყეობს 30-35 გრადუსამდე.

თერმული წყლების ამოსავლები ცნობილია სოფელ ბიჭაურის მიდამოებში. წყალი შემადგენლობით გოგირდწყალბადიანი სულფატურ-ჰიდროკარბონატულია. ტემპერატურა მერყეობს 30-35 გრადუსამდე.

მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა და მინერალიზაცია შესაძლებლობას იძლევა მათ სამკურნალოდ გამოყენებას.

სოფელ დანისპარაულში არსებობს სამშენებლო ქვის კარიერი.

რაიონის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კარტოფილი, რომელიც დათესილია 1167 ჰექტარზე. 2004 წელს მოწეული იქნა 25 ათასი ტონა კარტოფილი. აგრეთვე იწარმოება სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები: სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული, ხილი, თამბაქო, თაფლი.

რაიონში წამყვანი დარგია მეცხოველეობა. სტატისტიკური მონაცემებით, აღრიცხულია 49 ათასი მსხვილფეხა და 6000 წვრილფეხა პირუტყვი. 16 ათასი ჰექტარი ალპური ზონა გამოყენებულია პირუტყვის საზაფხულო საძოვრებად.

ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია უჩხოს ქვის თაღიანი ხიდი (VIII ს.), თხილვანის, ვერნების, კალოთის,

საციხურის, თიკანაურის, ვანაძეების ეკლესიის ნანგრევები. ხიხანის ციხეზე (XI ს.). ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები საშუალებას იძლევა გაიხსნას ტურისტული მარშრუტი ვარდციხე (ხიხაძირი)-ხიხანის ციხე. შესაძლებელია ტურისტული მარშრუტის გახსნა გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-შავი ტბა.

რაიონში თოვლის სიუხვით ცნობილია სოფელი ქედლები (ჭოლონის ტერიტორია ხულოდან 4 კმ), რომელსაც გარს აკრავს წიწვოვანი და შერეული ტყის მასივი. მდიდარია ანკარა მთის წყაროებით.

რაიონში დიდი პერსპექტივა აქვს ტურიზმის განვითარებას. მაღალმთიან ალპურ ბუნებაში ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე განლაგებულ კურორტ ბეშუმში არსებული კოტეჯები და დასასვენებელი სახლები ზაფხულის პერიოდში საშუალებას იძლევა 30 ათას დამსვენებელს და ტურისტს მოემსახუროს.

საზამთრო კურორტის აშენების შემთხვევაში ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით შეუძლია მოემსახუროს სპორტსმენებს და დამსვენებლებს, ხოლო ზაფხულში შესაძლებელია გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკების მოწყობა.

რაიონში ამჟამად მოქმედებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამხატვრო გალერეა დაბა ხულოში, აბუსერისძე ტბელისა (თხილვანაში) და შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმები (სხალთაში).

რაიონში ფუნქციონირებს სხალთის ღვთისმშობლის და ხულოს ხარების სახელობის ეკლესიები; დეკანაშვილების და ღორჯომის მეჩეთები.

ტრადიციული დღესასწაულებიდან გამორჩეულია შუამთობა, რომელიც ტარდება აგვისტოს დასაწყისში და ტბელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4.5. საქართველოს კურორტების სახეები და რეკრეაციული დასახელება

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | აბასთუმანი | ადიგენი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატო-ბალნეოლოგიური | 1260მ III-გ. | სულფიდური | ფტიზიატრიული (ფილტვების), ართროლოგიური |
| 2 | აგუძერა | გულრიფში (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ. | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 3 | ავადხარა | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატო-ბალნეოლოგიური | 1650მ. IV-ა | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური |
| 4 | ამაღლება | ვანი (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | 140მ. I-2-ა | ნახშირმჟავა | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური |
| 5 | ანაკლია | ზუგდიდი (სამეგრელო და ზემო სვანეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ბ | - | პულმონოლოგიური |
| 6 | არხილოს კალო | დედოფლისწყარო (კახეთი) | კლიმატური | 670მ. II-2-ბ | - | ნეფროლოგიური |
| 7 | ასპინძა | ასპინძა (სამცხე-ჯავახეთი) | ბალნეოლოგიური | 1050მ. III-ე | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), დერმატოლოგიური |
| 8 | ახალდაბა | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატო-ბალნეოლოგიური | 790მ. II-2-ა | სულფიდური | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ართროლოგიური |
| 9 | ახალი ათონი | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური |
| 10 | ახალციხე | ახალციხე (სამცხე-ჯავახეთი) | ბალნეოლოგიური | 980მ. II-2-ბ | ნახშირმჟავა | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.) გინეკოლოგიური |
| 11 | ახტალა | გურჯაანი (კახეთი) | ტალახით სამკურნალო | 410მ. I-3 | | ართროლოგიური, გინეკოლოგიური ნევროლოგიური (ცერებრალური დამბლისა და პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები) |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 12 | ბათუმი | ბათუმი (აჭარა) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ა | - | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური |
| 13 | ბაკურიანი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატური | 1700მ IV-გ | - | პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური, პულმონოლოგიური |
| 14 | ბახმარო | ჩოხატაური (გურია) | კლიმატური | 1900მ. IV-ა | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 15 | ბალიათა | ჯავა (შიდა ქართლი) | ბალნეოლოგიური | 1200მ. III-ბ | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური. |
| 16 | ბესლეთი | სოხუმი (აფხაზეთი) | ბალნეოკლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური |
| 17 | ბეშუმი | ხულო (აჭარა) | კლიმატური | 1900მ. IV-ა | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 18 | ბიისი | გორი (შიდა ქართლი) | კლიმატობალნეოლოგიური | 900მ. II-2-გ | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური |
| 19 | ბიჭვინთა | გაგრა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური |
| 20 | ბორჯომი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | ბალნეოკლიმატური | 800-1000მ. II-2-ა | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |
| 21 | ბუგეული | ამბროლაური (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | ბალნეოკლიმატური | 560მ. II-1-ბ | სულფიდური | ართროლოგიური, |
| 22 | გაგრა | გაგრა (აფხაზეთი) | კლიმატობალნეოლოგიური | ზღვისპირი I-1-გ | სულფიდური | პროფილაქტიკური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (ც.ნ.ს.) პულმონოლოგიური |
| 23 | განთიადი | გაგრა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 24 | გომის მთა | ოზურგეთი (გურია) | კლიმატური | 1900მ. IV-ა | - | პროფილაქტიკური |
| 25 | გორიჯვარი | გორი (შიდა ქართლი) | ბალნეო-კლიმატური | 600მ. II-2-ბ | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური |
| 26 | გორმაღალა | სამტრედია (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | 200მ. I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური. |
| 27 | გრიგოლეთი | ლანჩხუთი (გურია) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ბ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ართროლოგიური (ც.ნ.ს.) |
| 28 | გუდაუთა | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური |
| 29 | გულრიფში | გულრიფში (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, ფტიზიატრიული (ფილტვების) |
| 30 | გუმისთა | სოხუმი (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 31 | ეშერა | სოხუმი (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პულმონოლოგიური კარდიოლოგიური, ნევროლოგიური (ც.ნ.ს) |
| 32 | ვაჟას წყარო | დუშეთი (მცხეთა-თიანეთი) | ბალნეო-კლიმატური | 1100მ. III-ბ | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |
| 33 | ვარძია | ასპინძა (სამცხე-ჯავახეთი) | ბალნეო-კლიმატური | 1100მ. III-ე | ნახშირმჟავა | ართროლოგიური |
| 34 | ზეკარი | ბაღდათი (იმერეთი) | ბალნეო-კლიმატური | 780მ. II-1-გ | სულფიდური | ართროლოგიური |
| 35 | ზვარე | ხარაგაული (იმერეთი) | ბალნეო-კლიმატური | 600მ. II-1-გ | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |
| 36 | თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი | თბილისი | ბალნეოლოგიური | 450მ. I-3 | სულფიდური | ართროლოგიური ნევროლოგიური (პ.ნ.ს), გინეკოლოგიური |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტ-რაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 37 | თეთრი წყლები | თელავი (კახეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 1350მ. III-ბ | სულფიდური | ართროლოგიური, ევროლოგიური (პ.ნ.ს) |
| 38 | ყორულას აბანო | თელავი (კახეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 1850მ. IV-ბ | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) გინეკო-ლოგიური |
| 39 | კვერეთი | საჩხერე (იმერეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 750მ. II-1-გ | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) გინეკო-ლოგიური |
| 40 | კიკეთი | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | კლიმატუ-რი | 1100მ. III-დ | - | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური. |
| 41 | კინდღი | ოჩამჩირე (აფხაზეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | ზღვისპირი I-1-გ | ქლორიდუ-ლი | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, კარდიო-ლოგიური |
| 42 | კოდიბინი | ჯავა (შიდა ქართლი) | ბალნეო-ლოგიური | 1120მ. III-ა | სულფიდური | ართროლოგიური, გინეკოლოგიური |
| 43 | კოჯორი | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | კლიმატუ-რი | 1350მ. III-დ | - | პროფილაქტიკუ-რი, პულმინოლო-გიური, |
| 44 | კუმისი | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | ტალახით სამკურნა-ლო | 480მ. I-4 | ტალახი | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკო-ლოგიური, დერმა-ტოლოგიური |
| 45 | კურსები | ტყიბული (იმერეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 350მ. I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) გინეკო-ლოგიური |
| 46 | ლაგოდეხი | ლაგოდეხი (კახეთი) | ბალნეო-ლოგიური | 550მ. I-3 | სულფიდური | ართროლოგიური |
| 47 | ლაშიჭალა | ცაგერი (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 900მ. II-1-ბ | ნახშირმჟავა | გასტროენტერო-ლოგიური, ართ-როლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს) |
| 48 | ლებარდე | მარტვილი (სამეგრელო და ზემო სვანეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 1600მ. IV-ა | ნახშირმჟავა | |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 49 | ლესელიძე | გაგრა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, კარდიოლოგიური |
| 50 | ლიბანი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატური | 1370მ. III-გ | ნახშირმჟავა | ფტიზიატრიული (ფილტვების), გასტროენტეროლოგიური |
| 51 | მალთაყვა | ფოთი (სამეგრელო და ზემო სვანეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ბ | - | პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური |
| 52 | მანგლისი | თეთრი წყარო (ქვემო ქართლი) | კლიმატური | 1200მ. III-დ | - | პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური |
| 53 | მახინჯაური | ხელვაჩაური (აჭარა) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ა | - | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური |
| 54 | მენჯი | სენაკი (სამეგრელო და ზემო სვანეთი) | ბალნეოლოგიური | 29მ. I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს) გინეკოლოგიური |
| 55 | მიუსერა | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატური | 36-60მ. I-1-გ | - | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმინოლოგიური, ნევროლოგიური |
| 56 | მუაში | ლენტეხი (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | ბალნეოკლიმატური | 1250-1300მ. III-ა | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური. ართროლოგიური, პულმინოლოგიური |
| 57 | მწვანე კონცხი | ხელვაჩაური (აჭარა) | კლიმატური | 72მ. I-1-ა | - | პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნევროლოგიური (ც.ნ.ს) |
| 58 | ნაბეღლავი | ჩოხატაური (გურია) | ბალნეოლოგიური | 480მ. I-2-ბ | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |
| 59 | ნაგუთნი | ზნაური (შიდა ქართლი) | ბალნეოლოგიური | III-ბ | სულფიდური | ართროლოგიური |
| 60 | ნასაკირალი | ოზურგეთი (გურია) | ბალნეოლოგიური | 200მ. I-2-ბ | ქლორიდულ-ნატრიუმიანი | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს) გინეკოლოგიური |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 61 | ნოქალაქევი | სენაკი (სამეგრელო და ზემო სვანეთი) | ბალნეოლოგიური | I-2-ა | სუსტად-სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს) გინეკოლოგიური |
| 62 | ნუნისი | ხარაგაული (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | II-1-გ | სუსტად-სულფიდური | დერმატოლოგიური |
| 63 | ოქროს ნაპირი | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ბ | - | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური |
| 64 | ოქროყანა | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | კლიმატური | 670მ. II-2-გ | - | პროფილაქტიკური |
| 65 | ოჩამჩირე | ოჩამჩირე (აფხაზეთი) | კლიმატური | ზღვისპირი I-1-გ | - | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური |
| 66 | პატარა ცემი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატური | 1370მ. III-3-გ | - | პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული (ფილტვების) |
| 67 | რიწა | გუდაუთა (აფხაზეთი) | კლიმატური | 900მ. II-1-გ | - | ართროლოგიური, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური, კარდეოლოგიური |
| 68 | საირმე | ბაღდათი (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | 950-მ. II-1-გ | ნახშირმჟავა | უროლოგიური, გასტროენტეროლოგიური |
| 69 | სამტრედია | სამტრედია (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | 25მ. I-2-ა | სულფატური | ართროლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) გინეკოლოგიური |
| 70 | სიმონეთი | თერჯოლა (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.) გინეკოლოგიური |
| 71 | სიონი | ყაზბეგი (მცხეთა-თიანეთი) | კლიმატური | 1900მ. IV-ბ | ნახშირმჟავა | პულმონოლოგიური, გასტროენტეროლოგიური |

ეროვნული

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტ-რაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 72 | სორტუახი | ონი (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 788მ. | ნახშირმჟავა | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.) გინეკო-ლოგიური |
| 73 | სოხუმი | სოხუმი (აფხაზეთი) | კლიმატუ-რი | ზღვისპირა I-1-გ | | პროფილაქტიკუ-რი, კარდიოლო-გიური, პულმონო-ლოგიური, ნევ-როლოგიური |
| 74 | სულორი | ვანი (იმერეთი) | ბალნეო-ლოგიური | 200მ. I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.) გინეკო-ლოგიური |
| 75 | სურამი | ხაშური (შიდა ქართლი) | კლიმატუ-რი | 760მ. II-2-ა | სუსტად-სულფიდური | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, ართრო-ლოგიური, ნევ-როლოგიური |
| 76 | სქური | წალენჯიხა (სამეგრელო და ზემო სვა-ნეთი | ბალნეო-ლოგიური | 450მ. I-2-ა | ქლორი-დულ-სულ-ფატური | გასტროენტერო-ლოგიური, ართ-როლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) |
| 77 | ტბა | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატუ-რი | 1250მ. III-გ | - | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური |
| 78 | ტყვარჩელი | ტყვარჩელი (აფხაზეთი) | ბალნეო-ლოგიური | 440მ. I-2-გ | ქლორი-დულ-სულ-ფატური | ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) |
| 79 | ურეკი | ოზურგეთი (გურია) | კლიმატუ-რი | ზღვისპირა I-1-ბ | - | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, ნევრო-ლოგიური, კარდი-ოლოგიური |
| 80 | უწერა | ონი (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 1600მ. III-ა | ნახშირმჟავა | პულმონოლოგიუ-რი, ალერგოლო-გიური, გასტრო-ენტეროლოგიური |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტ-რაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 81 | უჯარმა | საგარეჯო (კახეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 880-960მ. II-2-ბ | კარბონა-ტულ-ჰიდ-როკარბონა-ტულ-ქლო-რიდული | ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) დერმატო-ლოგიური |
| 82 | ფასანაური | დუშეთი (მცხეთა-თიანეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 1050მ. III-ბ | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, ართრო-ლოგიური |
| 83 | ქვიშხეთი | ხაშური (შიდა ქართლი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 750მ. II-2-ა | სუსტად-სულფიდური | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, |
| 84 | ქობულეთი | ქობულეთი (აჭარა) | კლიმატუ-რი | ზღვისპირი I-1-ა | - | პროფილაქტიკუ-რი, კარდიოლო-გიური პულმონო-ლოგიური |
| 85 | ყანჩაეთი | ახალგორი (მცხეთა-თიანეთი) | ბალნეო-კლიმატუ-რი | 960მ. II-2-ბ | სულფიდური | ართროლოგიური, გინეკოლოგიური |
| 86 | ყაზბეგი | ყაზბეგი (მცხეთა-თიანეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 1744მ. IV-ბ | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, გასტროენ-ტეროლოგიური |
| 87 | ყვარელი | ყვარელი (კახეთი) | ბალნეო-ლოგიური | 450მ. I-3 | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.) გინეკო-ლოგიური |
| 88 | შოვი | ონი (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | კლიმატო-ბალნეო-ლოგიური | 1600მ. IV-ა | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკუ-რი, პულმონოლო-გიური, ალერგო-ლოგიული, გასტ-როენტეროლო-გიური |
| 89 | ჩითახევი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატუ-რი | 870მ. II-2-ა | - | ფტიზიატრიული (ძვალ-სახსროვანი) |
| 90 | ცაიში | [illegible] (სა-მეგრელო და ზემო სვანეთი) | ბალნეო-ლოგიური | 120-150მ. I-2-ა | სულფიდური | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს) დერმატო-ლოგიური |
| 91 | ცემი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატუ-რი | 1120მ. III-გ | - | პულმონოლოგიუ-რი, ფტიაზიატრი-ული (ფილტვების) |

| № | კურორტის დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | კურორტის ტიპი | ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა | მინერალური წყლის ტიპი | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 92 | ცივი კოდა | საგარეჯო (კახეთი) | კლიმატური | 1500მ. IV-ბ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 93 | ციხისძირი | ქობულეთი (აჭარა) | კლიმატური | 70-90მ. I-1-ა | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, კარდიოლოგიური, ნევროლოგიური (ც.ნ.ს) |
| 94 | ციხისჯვარი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | კლიმატური | 1800მ. IV-გ | ხუსტად-სულფიდური | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, ართროლოგიური |
| 95 | წავკისი | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | კლიმატური | 960მ. II-2-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 96 | წალვერი | ბორჯომი (სამცხე-ჯავახეთი) | ბალნეო-კლიმატური | 1020-1050მ. III-ბ | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, გასტროენტეროლოგიური |
| 97 | წოდორეთი | გარდაბანი (ქვემო ქართლი) | კლიმატური | 880მ. II-2-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური. |
| 98 | წყალტუბო | წყალტუბო (იმერეთი) | ბალნეოლოგიური | 95-120მ. I-2-ა | რადონული, ქლორიდულ-სულფატური | ართროლოგიური, ნევროლოგიური, (პ.ნ.ს) გინეკოლოგიური, კარდიოლოგიური |
| 99 | წყნეთი | თბილისი | კლიმატური | 800-1100მ. II-2-გ | - | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური |
| 100 | ხიდიკარი | ამბროლაური (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) | ბალნეოლოგიური | 680მ. II-1-ბ | სუსტად-სულფიდური | ართროლოგიური |
| 101 | ხოვლე | კასპი (შიდა ქართლი) | ბალნეოლოგიური | 780მ. II-2-ბ | სუსტად-სულფიდური | ართროლოგიური |
| 102 | ჯავა | ჯავა (შიდა ქართლი) | ბალნეოლოგიური | 1120მ. III-ბ | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი 5. სასტუმროები და ტურისტული სააგენტოები

## 5.1. ქუთაისი

### სასტუმრო "ბაგრატი-1003"



სასტუმრო მოიცავს 16 ნომერს და ფეშენებელურ აპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის მომსახურებას როგორც ადგილობრივი სტუმრისათვის ასევე ტურისტისათვის. ნომრების ფონდი შედგება ერთადგილიანი და ორადგილიანი ოთახებისაგან, ნახევრად ლუქსი, ლუქსისა და საპრეზიდენტო აპარტამენტისაგან. გამოყოფილია ნომერი (ლუქსი) ახალდაქორწინებულთათვის, რომელიც სიმშვიდეს და მყუდრო გარემოს შეუქმნის წყვილს. ნომრის ღირებულებაში შედის საუზმე და უკაბელო ინტერნეტის სისტემით სარგებლობა. სასტუმროში განსაზღვრულია სხვადასხვა მომსახურების პაკეტები, რომელიც დააკმაყოფილებს ყველაზე გემოვნებიან სტუმარს.განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ფასდაკლებები კორპორაციული კლიენტებისათვის..

### პარკ-სასტუმრო "იმერი"



სატუმროს დიზაინში შერწყმულია ძველი ქართული და თანამედროვე ევროპული ტენდენციები. სატუმროში არის 11 კომფორტული ნომერი, რომლიც შეესაბამება ყველა იმ მაღალ სტანდარტს, როგორიც არის მაღალი დონის სასტუმროებში. სასტუმრო "იმერი" გთავაზოთ მრავალი სახის მომსახურებას. თუ თქვენ გინდათ მოაწყოთ საღამოები 50-60 კაცზე, სასტუმრო "იმერი" შესანიშნავი ადგილია ამისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო "ედემი"



სასტუმრო "ედემი" მდებარეობს ქუთაისის ცენტრში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე და გემოვნებიანი ავეჯით. სასტუმროში არის 8 ნომერი

სასტუმრო "ალავერდი"




სასტუმრო "ალავერდი" მდებარეობს ქუთაისში. სასტუმრო აშენდა 2008 წელს და შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. სასტუმროში არის 18 ნომერი.

სასტუმრო "აია"



სასტუმროში არის თანამედროვე ინტერიერი, მყუდრო გარემო და მეგობრული ატმოსფერო. სასტუმროში შემოგთავაზებენ კომფორტის და ქართული სტუმართმოყვარეობის უნიკალურ ნაზავს.

სასტუმრო "ევროპა"



ასტუმრო "ევროპა" არის ბიზნეს კატეგორიის სტანდარტული სასტუმრო ცნობილი რესტორნით და 18 კომფორტული ნომრით. სასტუმროში არის ერთადგილიანი და ორადგილიანი ნომრები, ასევე 2 ლუქსის ტიპის ნომერი.

სასტუმრო "ბექა"



სასტუმრო "ბექა" მდებარეობს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრისა და გაბაშვილის ტყეპარკს შორის. სასტუმროს აივნიდან

მოსჩანს ქუთაისის გასაოცარი ხედები. სასტუმროში არის 8 კომფორტული ნომერი.

სასტუმრო "ლია"



საუკეთესო მოსახურება და კერძო ეზო. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასტუმრო მდებარეობს ქუთაისის ცენ-ტრში. სასტუმროში არის 22 ნომერი.

## 5.2. რაჭა

სასტუმრო "რაჭა"



საქართველოს ულამაზეს რეგიონში რაჭა-ში, ზღვის დონიდან 1520 მეტრის სიმაღ-ლეზე მდებარეობს ცნობილი ბალნეო-კლიმატური კურორტი შოვი. საქართ-ველოს ულამაზეს რეგიონში რაჭაში, ზღვის დონიდან 1520 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ცნობილი ბალნეო-კლიმატური კურორტი შოვი.

სასტუმრო კომპლექსი "შოვი"



სასტუმრო კომპლექსის "შოვის" ტერი-ტორიაზე განლაგებულია ერთი მირი-თადი სასტუმრო კორპუსი და 6 ფინური სტილის კოტეჯი.

## 5.3. სვანეთი

### "ნინო რატიანის" სასტუმრო სახლი



დაბა მესტია, მდებარეობს მესტიის რაიონში ზღვის დონიდან 1450 მეტრზე მყინვარ ლაჰილის, მწვერვალ უშბისა და მწვერვალ თეთნულდის აუზში. გარშემორტყმულია ნაძვის, სოჭის ფიჭვისა და უნიკალური ფოთლოვანი ჯიშის ტყის მასივებით. უნიკალური ადრეული და შუა საუკუნეების დროინდელი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ეკლესია მონასტრები არქიტექტორული მშენებლობის უნიკალურ ძეგლებს წარმოადგენენ. შესანიშნავი ადგილობრივი ქართული ფოლკლორი, ადგილობრივი ხალხური რეწვის, ხეზე კვეთის სხვადასხვა სახის მეწარმოების ნიმუშებია სვანეთში. დაბაში განთავსებულია ადრეული და შუა საუკუნეების უნიკალური ეკლესია-მონასტრები და უნიკალური ერთნოგრაფიული მუზეუმი. მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სახელობის სახლ-მუზეუმი, ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი, მინერალური წყლები. ნინოს სასტუმრო სახლი მდებარეობს მესტიაში. სასტუმროს გააჩნია 14 სტუმარზე გათვლილი 7 საძინებელი სასტუმრო ოთახი, საშხაპეებით აღჭურვილი. სასტუმროს დიასახლისი მუდამ აოცებს თავის სტუმრებს სტუმართმოყვარეობით.

### სასტუმრო სახლი "კალა"



სვანეთის კავკასიონი ეწოდება ცენტრალური კავკასიონის 125 კმ-ს კოდორის ქედიდან ფაზის მთამდე, რომელიც არის ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილი კავკასიის სამხრეთ კალთაზე და მოიცავს

მდინარე ენგურის და ცხენისწყლის ხეობებს. სასტუმრო სახლი "კალა" მდებარეობს სოფელ კალაში. აქ თქვენ დაგხვდებათ მყუდრო ოჯახური გარემო და სუფთა, კომფორტული ოთახები, რომელიც თქვენს დასვენებას სვანეთში სასიამოვნოს გახდის.

”გიორგის” სასტუმრო სახლი



"გიორგის" სასტუმრო მდებარეობს სოფელ ლე ნჯერში. აქ თ ქვენ დაგხვდებათ მყუდრო ოჯახური გარემო და სუფთა, კომფორტული ოთახები, რომელიც თქვენს დასვენებას სასიამოვნოს გახდის სვანეთში.

”მანონის სასტუმრო” სახლი



"მანონის" სასტუმრო მდებარეობს მესტიაში. აქ თქვენ დაგხვდებათ მყუდრო ოჯახური გარემო და სუფთა, კომფორტული ოთახები, რომელიც თქვენს დასვენებას სასიამოვნოს გახდის სვანეთში.

”ნელის” სასტუმრო სახლი



"ნელის" სასტუმრო მდებარეობს მესტიაში. აქ თქვენ დაგხვდებათ მყუდრო ოჯახური გარემო და სუფთა, კომფორტული ოთახები, რომელიც თქვენს დასვენებას სასიამოვნოს გახდის სვანეთში.

”გიორგის” სასტუმრო სახლი



"გიორგის" სასტუმრო უზრუნველყოფს დამსვენებლებს კომფორტით, სიმშვიდით და შესანიშნავი მომსახურეობით. წყნარი და მეგობრული გარემო, ხელს შეუწობს თქვენს მშვიდ დასვენებას. არ შეიძლება

არ აღინიშნოს აქ არსებული ბუნების შეუდარებელი სილამაზე და სიმშვიდე.

"ირმას" სასტუმრო სახლი



ირმას სასტუმრო სახლი მდებარეობს მესტიაში. სასტუმროს გააჩნია 14 სტუმარზე გათვლილი 6 საძინებელი სასტუმრო ოთახი, საშხაპეებით აღჭურვილი. სასტუმროს დიასახლისი მუდამ აოცებს თავის სტუმრებს სტუმართმოყვარეობით.

## 5.4. თუშეთი

სასტუმრო სახლი "კამსური"



სასტუმრო სახლი "კამსური" მდებარეობს თუშეთის რაიონის სოფ. ომალოს შუაგულში. სასტუმროდან არის უზარმაზარი მთების საოცარი ხედი.

სასტუმრო სახლი "სამციხე"



სასტუმრო სახლი "სამციხე" მდებარეობს თუშეთის რაიონის სოფ. დართლოს ცენტრში. სასტუმროში ერთდროულად 40 მოგზაურის დაბინავებაა შესაძლებელი.

## 5.5. ვარძია



ვარძიის კდლის არქიტეტრუ-რული ანსამბლი ძველი ქართული კულტურის უნიკალური ძეგლია. ვარძია მდებარეობს თ ილისიდან 300 კილომეტრის დაშორებით საქართველოს ისტორიულ მხარე - ჯავახეთში. ვარძიის ცამეტსართულიანი ფასადი გადაჭიმულია 500 მეტრზე მდინარის მარცხენა ნაპირზე.

ვარძიის მშენებლები, მეფე გიორგი მესამე და მისი ქალიშვილი თამარ მეფეა. ამ ადგილის შერჩევა კლდის საუკეთესო სამშენებლო თვისებებმა საყოფაცხოვრებო და სადავდაცვო პირობებმა განაპირობა. მშენებლობის პირველი ეტაპი მეთორმეტე საუკუნეში თარიღდება და მეთხუთმეტე საუკუნეში დასრულდა მეხუთე ეტაპი, ანუ საბოლოო ახალი სატრაპეზოს შექმნა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5.6. ხევსურეთი

### "ვაჟას" სასტუმრო სახლი



ვაჟას სასტუმრო სახლი ხევსურეთში, სოფელ შატილში.

### "იმედას" სასტუმრო სახლი



იმედას სასტუმრო სახლი ხევსურეთში, სოფელ შატილში.

## 5.7. სასტუმროები აჭარაში

### ბათუმი

### სასტუმრო ინტურისტ პალასი



სასტუმრო "ინტურისტ პალასი" გახლავთ 5 ვარსკვლავიანი თანამედროვე სასტუმრო, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში. სასტუმრო მხოლოდ ხუთი წუთის სავალი მანძილითაა დაშორებული ქალაქის ცენტრალურ ნინოშვილის ქუჩას, ლამაზად გაშენებულ ბულვარს და და შავი ზღვის სანაპიროს.

"ინტურისტ პალასი" განთავსებულია მომრგვალებული ტიპის შენობაში, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს საზაფხულო კაფეს გადაჰყურებს. სასტუროში არის როგორც ერთადგილიანი, ასევე ორადგილიანი ოთახები, ლუქსი, პრემიერის და პრეზიდენტის ნომრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო რჩეული ვილა



მომხიბლავი სასტუმრო რჩეული ვილა მდებარეობს შესანიშნავ ადგილას, ბათუმის ძველ ნაწილში, რამოდენიმე წუთის სავალ მანძილზე ბულვარიდან.

სატუმრო არის როგორც ბიზნესისათვის, ასევე დასვენებისათვის.

სასტუმრო გთავაზობთ ნომრებს, რომლებიც აღჭურვილია ანტიკვარული ავეჯით და აქსესუარებით.

სასტუმროს კაფე გაგიმასპინძლდებათ ქართული სამზარეულოთი, ბაქლავით და თურქული ყავით, რომელიც ცხელ ქვიშაზე მზადდება.

სასტუმრო ალიკი ბათუმში



